დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა, მე-6 დონე

შ.პ.ს. კავკასიის უნივერსიტეტი

2026 წლის 23-24 თებერვალი

07 აგვისტო, 2026 წ

თბილისი

სარჩევი

Contents

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 17

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 20

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 20

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება 41

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 52

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 56

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 74

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შ.პ.ს. კავკასიის უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205050567**
დაწესებულების ტიპი	**უნივერსიტეტი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ივანა კარევი, სპლიტის უნივერსიტეტი, ხორვატია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით თოფურია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატო დურგიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მელიტა მელიქიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საექთნო საქმე
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	**Nursing**
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**საექთნო საქმის ბაკალავრი**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**0913 საექთნო და სამეანო საქმე**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ოთხწლიან პროგრამას, რომელიც ძირითადად ინგლისურ ენაზე ხორციელდება და პირდაპირ პასუხობს საქართველოსა და რეგიონში კვალიფიციური ექთნების რეალური დეფიციტის პრობლემას, სადაც ექთნების რაოდენობის შეფარდება ექიმებთან მიმართებით კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ საშუალო მაჩვენებლებს.

პროგრამის ძირითად ძლიერ მხარეებს წარმოადგენს ძლიერი კლინიკური კომპონენტი, მენტორობის მოდელის საფუძველზე მცირე ჯგუფებში განხორციელებული პრაქტიკული სწავლება და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება (მათ შორის, OSCE/OSPE, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (Case-Based Learning) და პაციენტის საწოლთან განხორციელებული სტრუქტურირებული შეფასება). პროგრამა სარგებლობს დაწესებულების მიერ სამედიცინო განათლების სფეროში დაგროვილი გამოცდილებით, ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემით, რომელიც გაუმჯობესების უკუკავშირზე დაფუძნებულ მტკიცებულებებს მოიცავს, განახლებული სასწავლო რესურსებით, ციფრულ რესურსებზე ფართო ხელმისაწვდომობით და მკაფიო საერთაშორისო ორიენტაციით.

ამავდროულად, პროგრამა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეა. საექთნო განათლების სფეროში აკადემიურ დონეზე მომზადებული პერსონალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა განაპირობებს მედიცინის (MD) პროგრამის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების ჩართულობაზე დამოკიდებულებას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საექთნო საქმის, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური მიმართულების, გრძელვადიან განვითარებაზე. კლინიკურ გარემოში არსებული ენობრივი ბარიერები, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის, მხოლოდ ნაწილობრივ არის დაძლეული, მიუხედავად ქართული ენის მოსამზადებელი კურსებისა და მენტორული მხარდაჭერისა. პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა და აკადემიური კვალიფიკაციები შეზღუდულია, სტუდენტთა მონაწილეობა მმართველობით სტრუქტურებში ნაკლებად თვალსაჩინოა, ხოლო საექთნო საქმის სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები ჯერ კიდევ არასაკმარისად არის განვითარებული. პროგრამის მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენს უნივერსიტეტში ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიმართულებით არასაკმარისად განვითარებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კვლევითი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა, პრაქტიკული სწავლების მიზნით, ეყრდნობა კლინიკურ პარტნიორებს, პრეკლინიკური განათლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები (მათ შორის, ლაბორატორიები, სიმულაციური აღჭურვილობა და კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო ინფრასტრუქტურა) საჭიროებს დამატებით განვითარებას, რათა სრულად შეესაბამებოდეს ბიოსამედიცინო და საექთნო განათლების თანამედროვე სტანდარტებს და სათანადოდ უზრუნველყოფდეს უნარების განვითარებას, გამოყენებით კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სწავლებას.

პროგრამა უაღრესად აქტუალურია, აქვს გამართული სტრუქტურა და სათანადო ინსტიტუციური მხარდაჭერა, თუმცა მისი გრძელვადიანი ხარისხისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მიზნობრივი განვითარება პერსონალის გაძლიერების, კლინიკურ პრაქტიკაში ენობრივი ინტეგრაციის, კვლევითი პოტენციალის, სტუდენტთა მონაწილეობისა და საერთაშორისო მობილობის მიმართულებებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 23-24 თებერვალს შედგა. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, კავკასიის უნივერსიტეტის (CU) სტუდენტებთან და დამსაქმებელთან. შეხვედრის დროს, შემოწმდა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლების მეთოდები და მათი განხორციელების გზები, პროგრამის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსი, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, სილაბუსები და შეფასების სისტემა, პრაქტიკის ბაზები, სტუდენტური სერვისები, დამსაქმებლების ჩართულობა და დასაქმების შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფისა და შესრულების შეფასების მექანიზმები, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სტანდარტი 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
  სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  სტანდარტი 4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

1.1. პროგრამის მიზნები
/
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
o უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ სწავლის შედეგები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, მიღწევადი და ჩამოყალიბებული ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი გაზომვადი ზმნების გამოყენებით. დამყარებული უნდა იქნეს კონსტრუქციული შესაბამისობის ცხადი კავშირი სწავლის შედეგებსა და კონკრეტულ სწავლების მეთოდებს (სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები და სხვ.) შორის. სტუდენტებს უნდა მიეწოდოთ დეტალური აღწერა იმისა, თუ რა წვლილს შეიტანს თითოეული მეთოდი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში.
o დეტალურ სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული თითოეული კურსის სწავლების მეთოდები, კონსტრუქციული შესაბამისობა და სწავლის მოლოდინები. სტუდენტებმა უნდა

გაიგონ, თუ როგორ დაეხმარებათ ეს მეთოდები სასურველი სწავლის შედეგების მიღწევაში და როგორ უკავშირდება ისინი რეალურ ცხოვრებისეულ გამოყენებას.
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

/

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
o კლინიკური პრაქტიკისთვის სტუდენტთა მზაობის გასაუმჯობესებლად და ყველა სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია საბაზისო კურსებში ადეკვატური დონის პრაქტიკული პრეკლინიკური უნარების ტრენინგის ინტეგრირება. ეს შესაძლოა მოიცავდეს პრაქტიკული ლაბორატორიული სესიების, პრაქტიკული აქტივობებისა და სიმულაციების ჩართვას, რაც დაეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებაში სწავლის ადრეულ ეტაპზევე.
o გაუგებრობის თავიდან აცილებისა და რეალურ პროგრამის განხორციელებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კურსების აღწერილობებსა და სილაბუსებში ტერმინოლოგიის დაზუსტება, კერძოდ, ლაბორატორიულ სამუშაოსა და „პრაქტიკულთან“ დაკავშირებით. ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია ლექციები, სემინარები და ლაბორატორიული სამუშაოები, თუმცა ლაბორატორიული ბაზის არარსებობის გამო, ეს ტერმინოლოგია შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. ტერმინში „პრაქტიკული“ არ არის ცხადი, არის თუ არა ეს სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო თუ სწავლების სხვა მეთოდი. თუ ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება შეუძლებელია, პროგრამამ უნდა გადახედოს კურსების აღწერილობებს, რათა ისინი ზუსტად ასახავდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, და უნდა შეისწავლოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორიცაა სიმულაციები ან ვირტუალური ლაბორატორიები.

1.5. აკადემიური კურსი/საგანი

o გადახედილი და დაზუსტებული უნდა იყოს აკადემიური კურსების შინაარსი, რათა უზრუნველყოფილი იყოს განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნისა და უნარების ყოვლისმომცველი დაფარვა. კურსის შინაარსი საკმარისად დეტალური და პროგრამის საერთო მიზნებთან შესაბამისი უნდა იყოს, რაც სტუდენტებს მისცემს სწავლის თანმიმდევრულ გამოცდილებას.

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
/
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და გადატანადი უნარების განვითარება
o რეკომენდებულია დაფინანსების გამოყოფა არსებული საკლასო ოთახების საექთნო უნარების ლაბორატორიებად გარდაქმნისთვის, რომლებიც აღიჭურვება პრეკლინიკური ლაბორატორიული აღჭურვილობით, პროფესიული დონის მანეკენებით, აუცილებელი სამედიცინო მასალებით და საბაზისო სიმულაციური ტექნოლოგიით. ეს უზრუნველყოფს უსაფრთხო და სტრუქტურირებულ გარემოს, სადაც სტუდენტები საბაზისო საექთნო პროცედურების პრაქტიკას პირველივე კურსიდან დაიწყებენ, რაც შეავსებს ხარვეზს თეორიასა და კლინიკურ პრაქტიკას შორის.

o რეკომენდებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის მხარდამჭერი, სპეციალურად საექთნო და კლინიკური კვლევებისთვის განკუთვნილი სივრცეების შექმნა. ეს ლაბორატორიები უნდა იყოს აღჭურვილი მონაცემთა შეგროვების, პაციენტის შეფასების სიმულაციებისა და საბაზისო კლინიკური კვლევებისთვის. ადგილობრივ საავადმყოფოებთან, ჯანდაცვის დაწესებულებებთან და გარე დამფინანსებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გააძლიერებს რესურსებს და შექმნის შესაძლებლობებს სტუდენტების მიერ ხელმძღვანელობილი კვლევითი პროექტებისთვის.

2.3. სწავლების და სწავლის მეთოდები

o იმისათვის, რომ სტუდენტებმა განივითარონ აუცილებელი ტექნიკური უნარები და მიაღწიონ ძირითად სწავლის შედეგებს, რეკომენდებულია საბაზისო კურსებში პრეკლინიკური და პრაქტიკული ლაბორატორიული ტრენინგის უკეთესი გათვალისწინება და ინტეგრირება. ეს სტუდენტებს მისცემს საშუალებას, თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკულ, ხელოვნურად შექმნილ გარემოში, რაც გააუმჯობესებს მათ კლინიკურ მსჯელობასა და ბიოქიმიური მონაცემების ანალიზის უნარებს, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საექთნო პრაქტიკისთვის.

2.4. სტუდენტთა შეფასება

/

სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის სერვისები

/

3.2. სამაგისტრო სტუდენტების ხელმძღვანელობა

/

სწავლების რესურსების უზრუნველყოფა

4.1. ადამიანური რესურსები

o კლინიკურ გარემოში ენობრივი ბარიერების პრობლემის მოსაგვარებლად, რეკომენდებულია სამედიცინო ინგლისურზე ორიენტირებული ენობრივი ტრენინგის მიწოდება როგორც კლინიკური, ისე სასწავლო პერსონალისთვის, რომლებიც ურთიერთობენ საერთაშორისო სტუდენტებთან.

o საექთნო განათლების მრავალფეროვანი და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, რეკომენდებულია მეტი შტატიანი აკადემიური პერსონალის დაქირავება, რომელსაც შეეძლება პროგრამას მეტი დრო დაუთმოს. ეს შეამსუბუქებს იმ თანამშრომლების დატვირთვას, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე როლს ასრულებენ, და გააუმჯობესებს სწავლების, კვლევის მხარდაჭერისა და სტუდენტებთან ურთიერთობის თანმიმდევრულობას. ეს ასევე დაეხმარება სტუდენტი-პერსონალის თანაფარდობის უფრო ეფექტურად მართვაში, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობასა და მენტორობას როგორც აკადემიურ, ისე კლინიკურ გარემოში.

o რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის მხარდაჭერის გაზრდა, რისთვისაც უნდა გამოიყოს დრო და რესურსები კვლევით პროექტებში მონაწილეობისთვის. ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს მათ პროფესიულ განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ინტეგრირებული იყოს მთელი სასწავლო გეგმის განმავლობაში. ეს შესაძლოა მოიცავდეს დატვირთვის კორექტირებას, რათა პერსონალმა შეძლოს სწავლების მოვალეობებისა და კვლევითი საქმიანობის დაბალანსება.

4.2. სამაგისტრო სტუდენტების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

/

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
o რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო მეტი ინსტიტუციური მხარდაჭერა გაუწიოს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობისთვის. ეს შესაძლოა მოიცავდეს ფინანსურ მხარდაჭერას, დატვირთვის კორექტირებას ან კვლევითი შვებულების მიცემას, რათა პერსონალს შეეძლოს ამ შესაძლებლობებზე ფოკუსირება.
4.4. მატერიალური რესურსები
o როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების გასაძლიერებლად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ინვესტიცია განახორციელოს სპეციალიზებულ ბიომედიცინურ კვლევით ლაბორატორიებში.
o მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია გარკვეული კლინიკური უნარების ლაბორატორიები და სამედიცინო აღჭურვილობა, რეკომენდებულია არსებული სასწავლო ლაბორატორიული აღჭურვილობის განახლება და გაფართოება. ლაბორატორიების უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვა — მათ შორის თანამედროვე მანეკენებით, ბიომედიცინური დიაგნოსტიკური ხელსაწყოებითა და სიმულატორებით — მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტების სასწავლო გამოცდილებას.
o რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად გადახედოს და განაახლოს ბიბლიოთეკის ფონდი და კურსების სილაბუსები, რათა ყველა საჭირო ლიტერატურა, ელექტრონული მონაცემთა ბაზები და სასწავლო რესურსები ასახავდეს საექთნო მეცნიერებისა და კლინიკური პრაქტიკის მიმდინარე მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს. დაწესებულებამ პროგრამის დაწყებამდე უნდა უზრუნველყოს ძირითადი სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემების, მაღალი გავლენის მქონე რეცენზირებადი საექთნო ჟურნალებისა და თანამედროვე ბიომედიცინური ბაზების ინტეგრირება ყველა საბაზისო და კლინიკურ სილაბუსში.
o იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ ყველაზე რელევანტური და თანამედროვე კლინიკური მომზადება, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს კომუნიკაცია და კოორდინაცია კლინიკურ საწვრთნელ ბაზებთან. ეს შესაძლოა მოიცავდეს კლინიკური პრაქტიკის ადგილების უკეთეს შესაბამისობას მოქმედ სასწავლო გეგმასთან, რითაც უზრუნველყოფილი იქნება, რომ კლინიკურმა მენტორებმა კარგად იცოდნენ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები
5.1. შიდა ხარისხის შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება
/
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა
/

▪ **რჩევები**

2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

1.1. პროგრამის მიზნები
o პროგრამის მიზნების სრულად მიღწევის უზრუნველსაყოფად — განსაკუთრებით მათი, რომლებიც უკავშირდება დამოუკიდებელი კლინიკური გადაწყვეტილების მიღებას, პაციენტზე ორიენტირებულ მზრუნველობასა და პროფესიულ იდენტობას — უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს საექთნო აკადემიური პერსონალის ბაზის განვითარება. საექთნო-სპეციფიკური

ექსპერტიზის გაძლიერება ხელს შეუწყობს მიზნებში განსაზღვრული კომპეტენციების ეფექტურ მიწოდებას და გაამყარებს ექთნების გამორჩეულ პროფესიულ როლს.
ο იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს ეფექტურ კომუნიკაციას, პაციენტზე ორიენტირებულ მზრუნველობასა და უსაფრთხო კლინიკურ პრაქტიკას, უნდა დაინერგოს დამატებითი სტრუქტურირებული მხარდაჭერა, რათა სტუდენტებმა შეძლონ ამ შედეგების სრულად მიღწევა რეალურ კლინიკურ გარემოში. ეს მოიცავს ენობრივი მომზადებისა და კლინიკური კომუნიკაციის ტრენინგის გაძლიერებას, რათა განზრახული კომპეტენციები უკეთ შეესაბამებოდეს პრაქტიკულ განხორციელებას.
ο რამდენადაც პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს მომზადებას როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური ჯანდაცვის კონტექსტისთვის, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა გააქტიუროს ეს მიზნები საექთნო პროგრამისთვის სპეციფიკური ფორმალიზებული საერთაშორისო პარტნიორობის, მობილობის შესაძლებლობებისა და კლინიკური თანამშრომლობის მეშვეობით. ეს უზრუნველყოფს შრომის ბაზარსა და გლობალურ დასაქმებადობაში პროგრამის განზრახული წვლილის თანმიმდევრულ განხორციელებას პრაქტიკაში.
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
ο იმის გათვალისწინებით, რომ სწავლის შედეგები ხაზს უსვამს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტებთან, ოჯახებთან და სამედიცინო გუნდებთან, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ენობრივი მხარდაჭერა საერთაშორისო სტუდენტებისთვის.
ο ქართული ენის კურსების გარდა, სასარგებლო იქნება უფრო ფოკუსირებული, ქართულ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის სწავლების და სტრუქტურირებული მენტორობის პროგრამების შეთავაზება, რომლებიც საერთაშორისო სტუდენტებს მისცემს კომუნიკაციის რეალურ კლინიკურ გარემოში პრაქტიკის შესაძლებლობას.
ο გადახედილი და დახვეწილი უნდა იყოს პროგრამის ორგანიზება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსებისა და მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა.
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
ο იმის გათვალისწინებით, რომ საექთნო პროგრამა ახალია, შემოთავაზებულია მიზნობრივი შეფასებებისა და ვიზიტების ჩატარება მას შემდეგ, რაც პროგრამა სულ მცირე ერთი ნაკადისთვის სრულად განხორციელდება. ეს შეფასებები კონკრეტულად უნდა ფოკუსირდეს საექთნო პროგრამის უნიკალურ ასპექტებზე, მათ შორის სტუდენტთა მოსწრებაზე, კლინიკურ პრაქტიკის ადგილებზე და სწავლის შედეგების რეალურ პრაქტიკასთან შესაბამისობაზე.
ο იმისათვის, რომ ახალი საექთნო პროგრამა სწორ გზაზე იყოს სწავლის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტების მისაღწევად, შემოთავაზებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის მიმდინარეობის რეგულარული მონიტორინგი და დაკვირვება ინტეგრირება მოახდინოს ინსტიტუციური შეფასების ფართო სისტემაში.
ο დანერგილი უნდა იყოს სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, სადაც პროგრამის შეფასების შედეგები თანმიმდევრულად ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების განვითარების კორექტირებისთვის. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ევოლუციას სტუდენტთა მოსწრებაზე დაყრდნობით, აკადემიური სტანდარტებისა და დარგის საჭიროებების შესაბამისად.
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
ο შემოთავაზებულია სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალების განახლება, რათა სტუდენტები ყველაზე თანამედროვე რესურსებით სარგებლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული მასალები ზოგადად შესაბამისია, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა მოძველებული იყოს. სახელმძღვანელოების, კვლევითი სტატიებისა და კლინიკური გაიდლაინების უახლესი გამოცემების მიწოდება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები საექთნო სფეროში ყველაზე

თანამედროვე ცოდნასა და პრაქტიკებზე დაყრდნობით ისწავლონ, რაც გადამწყვეტია მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადებისას.
o პროგრამამ უნდა გადახედოს კურსების აღწერილობებს, რათა ისინი ზუსტად ასახავდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, და შეისწავლოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორიცაა სიმულაციები და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის განკუთვნილი კოლაბორაციული ლაბორატორიები.
1.5. აკადემიური კურსი/საგანი
o კლინიკური პრაქტიკისთვის სტუდენტთა მზაობის გასაუმჯობესებლად და ყველა სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია საბაზისო კურსებში პრაქტიკული პრეკლინიკური უნარების ტრენინგის ინტეგრირება. ეს შესაძლოა მოიცავდეს პრაქტიკული ლაბორატორიული სესიების, პრაქტიკული აქტივობებისა და სიმულაციების ჩართვას, რაც დაეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებაში სწავლის ადრეულ ეტაპზევე.
o გაუგებრობის თავიდან აცილებისა და რეალურ პროგრამის განხორციელებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კურსების აღწერილობებსა და სილაბუსებში ტერმინოლოგიის დაზუსტება, კერძოდ, ლაბორატორიულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია ლექციები, სემინარები და ლაბორატორიული სამუშაოები, თუმცა ლაბორატორიული ბაზის არარსებობის გამო, ეს ტერმინოლოგია შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. თუ ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება შეუძლებელია, პროგრამამ უნდა გადახედოს კურსების აღწერილობებს, რათა ისინი ზუსტად ასახავდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, და შეისწავლოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორიცაა სიმულაციები ან ვირტუალური ლაბორატორიები.
o პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები, ასევე მიმდინარე კლინიკური გაიდლაინები და საერთაშორისო სტანდარტები ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორებიცაა ჯანმო (WHO), CDC და ANA. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა გაცნობას ყველაზე რელევანტურ კვლევებთან, ტექნოლოგიურ მიღწევებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან საექთნო საქმეში, რაც სასწავლო გეგმას შეუსაბამებს ჯანდაცვის თანამედროვე განვითარებას.

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და გადატანადი უნარების განვითარება
o დანერგილი უნდა იყოს მაღალი სიზუსტის პაციენტის სიმულატორები და სიმულაციური ოთახები რთული კლინიკური სცენარების ხელახლა შესაქმნელად. ეს გარემო სტუდენტებს მისცემს საშუალებას, განავითარონ კლინიკური მსჯელობის, გადაწყვეტილების მიღებისა და პაციენტის მოვლის დაგეგმვის უნარები კონტროლირებად და უსაფრთხო გარემოში. რეგულარულად დაგეგმილი სიმულაციური სესიები უნდა იყოს ინტეგრირებული სწავლის ყველა წელს.
o ჩატარდეს ყველა საექთნო უნარებისა და სიმულაციური ლაბორატორიის ყოვლისმომცველი აუდიტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანდაცვის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. ეს მოიცავს ინფექციის კონტროლის შესაბამის ღონისძიებებს, საგანგებო აღჭურვილობას, ვენტილაციასა და დაცულ წვდომას. დამყარებული უნდა იყოს ტექნიკური მომსახურების მკაფიო პროტოკოლები და პერსონალის უწყვეტი ტრენინგი, რათა შენარჩუნდეს ხარისხი და უსაფრთხოება პრაქტიკული სწავლების გარემოში.

o განახლდეს სილაბუსი, რათა სავალდებულო გახდეს ლაბორატორიის ყოველკვირეული როტაცია პირველი კურსიდანვე, გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და კომუნიკაციის მოდულებში ინტეგრირებით, მენტორული წყვილების ჩართვით. წვდომისთვის გამოყენებული უნდა იყოს დაჯავშნის პროგრამული უზრუნველყოფა; პროგრამის კოორდინატორმა უნდა აკონტროლოს გამოყენების მაჩვენებელი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი დატვირთვა და სესიები დაუკავშირდეს კონფერენციისთვის მომზადებას.
o პერსონალი გაწვრთნილი უნდა იყოს პროტოკოლებში სემინარების მეშვეობით, რის შემდეგაც შეიქმნას ციფრული ტექნიკური მომსახურების ჟურნალი ყველა ახალი დანადგარისთვის. საექთნო ფაკულტეტმა უნდა უხელმძღვანელოს ყოველწლიურ აუდიტს სტუდენტთა უკუკავშირის კვლევებით; გამოყოფილი უნდა იყოს მუდმივი დაფინანსება ტექნიკური მომსახურებისთვის, რაც ეყრდნობა ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა უსაფრთხოების ინციდენტები ან კომპეტენციის მიღწევები.
o სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლისა და კვლევითი საქმიანობის ინტეგრირება საექთნო საბაზო კომპეტენციებთან, მათ შორის გუნდურ მუშაობასთან, ლიდერობასთან, კომუნიკაციასთან და ეთიკურ გადაწყვეტილების მიღებასთან. სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტრუქტურირებული მენტორობა კვლევის შედეგების გავრცელებაში ჩართვისთვის (მაგ., კონფერენციები, პოსტერები) და დანერგილი უნდა იყოს ყოველწლიური მიმოხილვები კლინიკური უნარებისა და სამეცნიერო კვლევის განვითარების პროგრესის მონიტორინგისთვის.

2.3. სწავლების და სწავლის მეთოდები
/
2.4. სტუდენტთა შეფასება
/

სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა
3.1. სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის სერვისები
o კავკასიის უნივერსიტეტს მოუწოდება, გაზარდოს ცნობადობა და მკაფიოდ მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია სხვადასხვა სტუდენტური სამსახურის ერთეულებისა და თვითმმართველობის სტრუქტურების მოწყობისა და ფუნქციონირების შესახებ.
3.2. სამაგისტრო სტუდენტების ხელმძღვანელობა
/
სწავლების რესურსების უზრუნველყოფა
4.1. ადამიანური რესურსები
o შემოთავაზებულია, ხელახლა შეფასდეს იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილება, რომლებიც ასევე იკავებენ პოზიციებს კლინიკებში და რამდენიმე უნივერსიტეტში. მათი მრავალმხრივი პროფესიული ვალდებულებების გათვალისწინებით, ეს შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ხელმისაწვდომობაზე სტუდენტებთან ურთიერთობის, მენტორობისა და მაღალი ხარისხის სწავლების თვალსაზრისით. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალს ჰქონდეს შესაბამისი დრო პროგრამისა და მისი სტუდენტებისთვის დასათმობად, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზეგავლენა განათლების ხარისხსა და სტუდენტთა მხარდაჭერაზე.
o შემოთავაზებულია, გაიზარდოს პერსონალის ხელმისაწვდომობა სტუდენტების უშუალო მენტორობისა და მხარდაჭერისთვის. კლინიკური მომზადების, ინდივიდუალური კონსულტაციებისა და პერსონალიზებული აკადემიური ხელმძღვანელობის ხარისხის შესანარჩუნებლად, სასარგებლო იქნება საშტატო რაოდენობის კორექტირება და დამატებითი

აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავების განხილვა, რათა სტუდენტებმა მიიღონ წარმატებისთვის საჭირო ყურადღება.
o შემოთავაზებულია, რეგულარულად ჩატარდეს ტრენინგები სწავლების მეთოდებზე აკადემიური პერსონალისთვის, განსაკუთრებით საექთნო პროგრამაში ჩართული პირებისთვის. ვინაიდან სწავლების პრაქტიკა ვითარდება და ჩნდება ახალი სასწავლო ტექნოლოგიები, პერსონალისთვის თანამედროვე პედაგოგიური ტრენინგის მიწოდება გააუმჯობესებს განათლების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ პერსონალს ჰქონდეს ყველაზე ეფექტური მეთოდები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული შინაარსის მისაწოდებლად.
o შემუშავებული უნდა იყოს მკაფიო ინდიკატორები და რეგულარულად უნდა ხდებოდეს პერსონალის დენადობის, დატვირთვისა და კმაყოფილების მონიტორინგი, რათა ადრეულად გამოვლინდეს პოტენციური რისკები და შენარჩუნდეს პროგრამის გრძელვადიანი სტაბილურობა.
o შემუშავებული უნდა იყოს სტრატეგიული საკადრო გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს მომავალ საჭიროებებს (მაგ., სტუდენტთა ჩარიცხვის ზრდას, კლინიკური მომზადების გაფართოებას), რაც უზრუნველყოფს დროულ დაქირავებას და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაბალანსებულ განაწილებას.
4.2. სამაგისტრო სტუდენტების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია
/
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
o მდგრადი პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კარიერული განვითარების მკაფიო გზები. ეს უნდა მოიცავდეს დაწინაურების შესაძლებლობებს, კვლევითი დაფინანსების ხელმისაწვდომობასა და შეფასების რეგულარულ ჩატარებას, რომელიც შესაძლოა დაუკავშირდეს კვლევით მიღწევებს, სწავლების ხარისხსა და საექთნო პროფესიაში წვლილს.
o იმისათვის, რომ აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა თვალი ადევნოს საექთნო განათლებასა და კვლევაში მიმდინარე ტენდენციებს, რეკომენდებულია რეგულარული ტრენინგების ჩატარება კვლევის მეთოდოლოგიაზე, დაფინანსების შესაძლებლობებსა და აკადემიურ წერაზე.
o ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების განვითარების მხარდასაჭერად, რეკომენდებულია დაინერგოს მენტორობის პროგრამა, რომელიც ნაკლებად გამოცდილ ფაკულტეტის წევრებს დაუკავშირებს უფროს პერსონალს ან გარე ექსპერტებს.
4.4. მატერიალური რესურსები
o კლინიკური ბაზები სათანადოდ უნდა იყოს აღჭურვილი სტუდენტთა კლინიკური როტაციების მხარდასაჭერად, საკმარისი რესურსებით, როგორიცაა სამედიცინო აღჭურვილობა, კომპიუტერები პაციენტის მონაცემების შესატანად და ელექტრონულ ჯანმრთელობის ჩანაწერებზე წვდომა, თეორიის პრაქტიკასთან შეუფერხებელი ინტეგრირებისთვის.
o სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლა საექთნო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ რეკომენდებულია სიმულაციური ტექნოლოგიების ინვესტიციის გაზრდა. ეს შესაძლოა მოიცავდეს სიმულაციური ლაბორატორიების გაფართოებას მეტი მაღალი სიზუსტის მანეკენებით, ვირტუალური რეალობის (VR) ხელსაწყოებითა და ინტერაქტიული სამედიცინო პროგრამული უზრუნველყოფით.
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები
5.1. შიდა ხარისხის შეფასება
/
5.2. გარე ხარისხის შეფასება
/

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

  /

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:
  - პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი), მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტებისა და/ან დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა ;

სასწავლო პროგრამას მხარს უჭერს მრავალფეროვანი და მულტიდისციპლინური აკადემიური გუნდი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო, კვლევითი და კლინიკური კომპონენტების სათანადო უზრუნველყოფას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 73-ს და განაწილებულია შემდეგნაირად:
პროფესორი: 8 (მათგან 5 აფილირებული);
ასოცირებული პროფესორი: 8 (მათგან 4 აფილირებული);
ასისტენტ-პროფესორები : 10 (მათგან 8 აფილირებული);
ასისტენტები: მონაცემები არ არის დაკონკრეტებული.

ამასთან, პროგრამაში ჩართულია 47 მოწვეული პერსონალი, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ პროგრამის პრაქტიკული, კლინიკური და საერთაშორისო კომპონენტების განხორციელებაში. პროგრამაში ასევე მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალი, თუმცა მათი რაოდენობა ცალკე არ არის მითითებული. საერთაშორისო პერსონალის ჩართულობა კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის გლობალურ პერსპექტივას და ხელს უწყობს სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე განხორციელებას. აფილირებული პერსონალი მნიშვნელოვან წილს იკავებს უფროს აკადემიურ პოზიციებზე, რაც უზრუნველყოფს უწყვეტობას, ინსტიტუციურ ჩართულობასა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

პერსონალის კვალიფიკაციის თვალსაზრისით, პროგრამაში ჩართულია შესაბამის დარგში დოქტორის (PhD) ხარისხისა და დარგობრივი ექსპერტიზის მქონე აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით უფროს აკადემიურ თანამდებობებზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის სამეცნიერო და კვლევაზე დაფუძნებულ ორიენტაციას.

---

[4]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა ასახავს მოდელს, რომელიც აერთიანებს ინსტიტუციის ძლიერ აკადემიურ პოტენციალს კლინიკური პრაქტიკისა და საერთაშორისო გარემოდან მოზიდულ დამატებით ექსპერტიზასთან.

სტუდენტთა ზედამხედველობა, განსაკუთრებით კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების ფარგლებში, ორგანიზებულია შემდეგი მექანიზმებით:

სწავლება მცირე ჯგუფებში (პრაქტიკულ ჯგუფში 8–10 სტუდენტი); კლინიკურ გარემოში მენტორზე დაფუძნებული ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და უწყვეტ შეფასებას; პერსონალს შორის დატვირთვის სტრუქტურირებული განაწილება სწავლების, მენტორობისა და კვლევითი საქმიანობის დაბალანსების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა პირდაპირ არ მიუთითებს სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობაზე, არსებული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის ინტენსიურ და მხარდამჭერ ურთიერთქმედებას, განსაკუთრებით კლინიკური სწავლების პროცესში.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მაჩვენებლები ადასტურებს აკადემიური აქტივობის მყარ დონეს, განსაკუთრებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებისა და კვლევითი შედეგების გავრცელების მიმართულებით . საერთო კვლევითი ინდექსი– 202, მათ შორის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული 107 პუბლიკაცია, მიუთითებს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში აღიარებული კვლევებისადმი მკაფიო ორიენტაციაზე, რაც აკადემიური ხარისხისა და ხილვადობის დადებითი მაჩვენებელია. დამატებით, ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული 35 პუბლიკაცია ადასტურებს რეგიონულ აკადემიურ საზოგადოებასთან აქტიურ თანამშრომლობას.

პერსონალის მონაწილეობა კონფერენციებში: 18 მოხსენება საერთაშორისო და 15 ადგილობრივ ღონისძიებაზე – მიუთითებს სამეცნიერო გაცვლით და პროფესიულ ქსელებში ჩართულობის ზომიერ, თუმცა სტაბილურ დონეზე. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებასა და სწავლების პროცესში თანამედროვე მიღწევების ინტეგრირებას. გარდა ამისა, დამატებით 27 სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის არსებობა მიუთითებს აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობაში, მათ შორის პროექტებსა და თანამშრომლობით ინიციატივებში, უფრო ფართო ჩართულობაზე.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

ვინაიდან ეს ახლადშექმნილი პროგრამაა, აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებლის შეფასება, ტრადიციული გაგებით, ხუთწლიან პერიოდში ჯერ არ არის შესაძლებელი.

თუმცა, არსებული მონაცემები მიუთითებს სტაბილურ საწყის საშტატო სტრუქტურაზე, 26 ახლად დასაქმებული აკადემიური პერსონალით და პერსონალის წასვლის არცერთი ფაქტით, რაც საწყის ეტაპზე 0%-იან გადინების მაჩვენებელს ნიშნავს.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

/

- **სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი** მოცემულია თვითშეფასების ანგარიშსა და დანართებში.

/

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

/

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1,3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1,4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1,5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2,4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.	**სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	/
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1	ადამიანური რესურსები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	/
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4,4	მატერიალური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4,5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5,3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების შესახებ

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები სათანადოდ არის ჩამოყალიბებული საექთნო საქმის, როგორც ჯანდაცვის რეგულირებადი პროფესიის, კონტექსტში. ისინი მოიცავს ფართო თეორიული ცოდნის, კლინიკური და პრაქტიკული კომპეტენციების, პაციენტზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზრუნვის, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარების, ეთიკური და სამართლებრივი ცნობიერების, ასევე პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე ჯანდაცვის ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის გამოყენების უნარის განვითარებას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს პროფესიული განვითარების, ლიდერული უნარებისა და კვლევითი ცნობიერების ხელშეწყობას, რაც თანამედროვე ექთნის როლის სიღრმისეულ გააზრებაზე მიუთითებს.

პროგრამის განსაკუთრებულად ძლიერი მხარეა მისი მკაფიო შესაბამისობა დოკუმენტურად დადასტურებულ საზოგადოებრივ და სექტორულ საჭიროებთან. ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, დამსაქმებლებმა და აკადემიურმა პერსონალმა ერთხმად გაუსვეს ხაზი საქართველოში კვალიფიციური ექთნების მწვავე დეფიციტს, ასევე ევროპულ სტანდარტებთან შედარებით ექთნებისა და ექიმების რაოდენობრივი თანაფარდობის ჩამორჩენას. შესაბამისად, პროგრამის მიზნები არა მხოლოდ საგანმანათლებლო თვალსაზრისით არის რელევანტური, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ მნიშვნელობასაც ატარებს, რადგან ორიენტირებულია ქვეყანაში ჯანდაცვის სამუშაო ძალის გაძლიერებასა და პაციენტთა მოვლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ თვალსაზრისით, პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს საერთაშორისო ორიენტაციას. პროგრამა განხორციელდება ინგლისურ ენაზე, რაც გამართლებულია როგორც საერთაშორისო სტუდენტური კონტინგენტით, ისე უნივერსიტეტის სტრატეგიული ორიენტაციითა და ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული გარემოსთვის კურსდამთავრებულთა მომზადების საჭიროებით . ინგლისურენოვანი პირველწყარო სამედიცინო ლიტერატურის გამოყენება, საერთაშორისო კლინიკური პარტნიორობები და პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის განზრახვა კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის მიზნების რელევანტურობას.

პროგრამის დიზაინი ასევე პასუხობს ტრანსსასაზღვრო მობილობისა და საერთაშორისო დასაქმების მოთხოვნებს, განსაკუთრებით ევროპულ ჯანდაცვის სისტემებში ექთნებზე არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით.

პროგრამის მიზნები, ზოგადად, კარგად შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, დარგობრივ მახასიათებლებსა და შესაბამის საერთაშორისო ჩარჩოებს, მათ შორის ჯანდაცვის რეგულირებადი განათლების სფეროსთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. უნივერსიტეტმა წარმოაჩინა ეროვნული ჯანდაცვის რეგულაციების ცოდნა და განმარტა პროგრამის ოთხწლიანი სტრუქტურის საფუძველი, რომელიც ეფუძნება როგორც სახელმწიფო გადაწყვეტილებებს, ისე საერთაშორისო რეკომენდაციებს. ეს მიუთითებს, რომ პროგრამის მიზნები არ არის ფორმულირებული იზოლირებულად, არამედ მყარად არის ინტეგრირებული დარგის მარეგულირებელ და პროფესიულ ჩარჩოში.

ამავდროულად, ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე საკითხი, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პრაქტიკაში პროგრამის მიზნების სრულფასოვან განხორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ თავად მიზნები სათანადო და ამბიციურია, კვლავ არსებობს განხორციელებასთან დაკავშირებული გარკვეული გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ინგლისურენოვან წყაროებზე წვდომას სტრატეგიულ უპირატესობად მიიჩნევს და არ ეყრდნობა დაგვიანებულ თარგმანებს, აღნიშნულმა შესაძლოა გარკვეული სირთულეები შეუქმნას სტუდენტების ნაწილს, განსაკუთრებით ადგილობრივ კონტექსტში. გარდა ამისა, საერთაშორისო სტუდენტებისთვის კლინიკურ პრაქტიკაში ენობრივი ბარიერი კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის სწავლებას პირველ ორ სემესტრში და კლინიკური პრაქტიკის მენტორულ მოდელს, თუმცა ჯერ კიდევ არ არის სრულად დამაჯერებელი, რომ მხოლოდ ეს მხარდაჭერა საკმარისი იქნება მესამე სემესტრიდან დამოუკიდებელი და ეფექტური კლინიკური კომუნიკაციისთვის.

კიდევ ერთი გამოწვევა უკავშირდება საექთნო პროფესიის იდენტობასა და სტატუსს ქართულ კონტექსტში. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ექთნები კვლავ ხშირად აღიქმებიან ექიმების დამხმარეებად და არა ჯანდაცვის დამოუკიდებელ პროფესიონალებად, რომელთაც პაციენტის მოვლაში საკუთარი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები სწორად ისახავს მიზნად ამ მიდგომის შეცვლას, ეს ასევე ნიშნავს, რომ პროგრამა ფუნქციონირებს გარემოში, სადაც სასურველი პროფესიული პროფილი ჯერ კიდევ სრულად არ არის დამკვიდრებული პრაქტიკაში. აღნიშნული გარკვეულ რისკს ქმნის დეკლარირებული მიზნების მიღწევის კუთხით, განსაკუთრებით კლინიკურ პრაქტიკაში, სადაც არსებული პროფესიული კულტურა შესაძლოა სრულად არ ასახავდეს კურსდამთავრებულის სასურველ მახასიათებლებს.

პერსონალის მოდელი ასევე აჩენს გარკვეულ კითხვებს პროგრამის მიზნების მდგრადობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა განმარტა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსი საერთო არის მედიცინის პროგრამასთან და შესაბამისად ეყრდნობა არსებულ აკადემიურ პერსონალს, ხოლო საექთნო საქმის სპეციფიკური კომპონენტებისთვის ჩართული არიან ახალი მოწვეული ლექტორები და პრაქტიკოსები. ეს გასაგებია პროგრამის განვითარების საწყის ეტაპზე, თუმცა პროგრამა მნიშვნელოვნად ისარგებლებდა საექთნო საქმის სფეროში აკადემიურად და პროფესიულად კვალიფიციური პერსონალის მდგრადი ბირთვის შემდგომი გაძლიერებით, განსაკუთრებით იმ პერსონალის მიმართულებით, რომელსაც საექთნო საქმეში მაღალი აკადემიური კვალიფიკაცია გააჩნია. ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ საქართველოში მაღალკვალიფიციური ექთან-განმანათლებლების რაოდენობა კვლავ შეზღუდულია, რაც ფართო

სექტორული პრობლემაა, თუმცა პირდაპირ გავლენას ახდენს პროგრამის შესაძლებლობაზე, სრულად მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

ის ფაქტი, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო კლინიკური პარტნიორები არ იყვნენ ინფორმირებულნი პროგრამის დაწყების შესახებ, მიუთითებს კომუნიკაციისა და კოორდინაციის მნიშვნელოვან პრობლემაზე. ეფექტიანი თანამშრომლობა მოითხოვს მკაფიო და დროულ კომუნიკაციას საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კლინიკურ პარტნიორებს შორის. აღნიშნულმა ხარვეზმა შესაძლოა გამოიწვიოს კლინიკური პრაქტიკის დაწყების შეფერხება, სტუდენტებისთვის სასწავლო შესაძლებლობების დაკარგვა და კლინიკურ პარტნიორებთან ურთიერთობების გაუარესება.

კლინიკურ გარემოში პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის საკითხი ასევე იწვევს შეშფოთებას, თუ რამდენად მზად არის კლინიკური ბაზები საერთაშორისო სტუდენტების მისაღებად. ინგლისური ენის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის გარემოში, სადაც ეფექტიანი კომუნიკაცია პაციენტის უსაფრთხოებისა და ხარისხიანი მომსახურების აუცილებელი წინაპირობაა. თუ კლინიკური პერსონალი ვერ შეძლებს ეფექტიან კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე, საერთაშორისო სტუდენტები კლინიკური პრაქტიკის პერიოდში მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე აღმოჩნდებიან, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს როგორც მათი სწავლების ხარისხზე, ისე პაციენტთა უსაფრთხოებაზე.

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, პროგრამას გააჩნია არაერთი ძლიერი მხარე, რომელიც ხელს უწყობს მისი მიზნების მიღწევას. მათ შორის აღსანიშნავია კლინიკური პრაქტიკის მნიშვნელოვანი მოცულობა, ადგილობრივ და საერთაშორისო კლინიკურ პარტნიორებთან თანამშრომლობა, სტიპენდიების დანერგვის გეგმები, კვლევით საქმიანობასა და საუნივერსიტეტო გამოცემებში მონაწილეობის შესაძლებლობები, ასევე კონფერენციებსა და აკადემიურ-საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის ინსტიტუციური მხარდაჭერა. დამსაქმებლებმა მკაფიოდ დაადასტურეს პროგრამის მხარდაჭერა და აღნიშნეს ამგვარი კურსდამთავრებულების მიმართ შრომის ბაზარზე არსებული დაუყოვნებლივი მოთხოვნა. უნივერსიტეტმა ასევე განახორციელა პროგრამის ბენჩმარკინგი სხვა საექთნო პროგრამებთან და პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინა დამსაქმებელთა მოლოდინები, რაც ზრდის პროგრამის მიზნების რელევანტურობისადმი ნდობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- მედიცინის დარგის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
- კავკასიის უნივერსიტეტის წესდება.

[რეკომენდაციები](#).

- /

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

o პროგრამის მიზნების სრულად მიღწევის უზრუნველსაყოფად — განსაკუთრებით მათი, რომლებიც უკავშირდება დამოუკიდებელი კლინიკური გადაწყვეტილების მიღებას, პაციენტზე ორიენტირებულ მზრუნველობასა და პროფესიულ იდენტობას — უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს საექთნო აკადემიური პერსონალის ბაზის განვითარება. საექთნო-სპეციფიკური ექსპერტიზის გაძლიერება ხელს შეუწყობს მიზნებში განსაზღვრული კომპეტენციების ეფექტურ მიწოდებას და გაამყარებს ექთნების გამორჩეულ პროფესიულ როლს.

o იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს ეფექტურ კომუნიკაციას, პაციენტზე ორიენტირებულ მზრუნველობასა და უსაფრთხო კლინიკურ პრაქტიკას, უნდა დაინერგოს დამატებითი სტრუქტურირებული მხარდაჭერა, რათა სტუდენტებმა შეძლონ ამ შედეგების სრულად მიღწევა რეალურ კლინიკურ გარემოში. ეს მოიცავს ენობრივი მომზადებისა და კლინიკური კომუნიკაციის ტრენინგის გაძლიერებას, რათა განზრახული კომპეტენციები უკეთ შეესაბამებოდეს პრაქტიკულ განხორციელებას.

o რამდენადაც პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს მომზადებას როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური ჯანდაცვის კონტექსტისთვის, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა გააქტიუროს ეს მიზნები საექთნო პროგრამისთვის სპეციფიკური ფორმალიზებული საერთაშორისო პარტნიორობის, მობილობის შესაძლებლობებისა და კლინიკური თანამშრომლობის მეშვეობით. ეს უზრუნველყოფს შრომის ბაზარსა და გლობალურ დასაქმებადობაში პროგრამის განზრახული წვლილის თანმიმდევრულ განხორციელებას პრაქტიკაში..

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ასახავს საექთნო საქმის, როგორც რეგულირებადი ჯანდაცვის პროფესიის, სპეციფიკას. ისინი ჩამოყალიბებულია საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამებისთვის განსაზღვრული დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად და ორიენტირებულია შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პროფესიული ღირებულებების განვითარებაზე. სწავლის შედეგები ქმნის ხარისხიანი სასწავლო პროცესისა და პროფესიულ განვითარებასა და პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის მყარ საფუძველს.

სწავლის შედეგები სრულყოფილად მოიცავს სამ ძირითად სფეროს: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ცოდნისა და გაცნობიერების სფეროში სწავლის შედეგები სათანადოდ მოიცავს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისთვის შესაბამისი საექთნო დისციპლინების ძირითადი კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების იდენტიფიცირებას და გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პაციენტზე ორიენტირებულ ზრუნვას, კულტურულ კომპეტენტურობას, ეთიკას, ჯანდაცვის პოლიტიკასა და პაციენტის უსაფრთხოებას. სტუდენტებს მოეთხოვებათ კლინიკური ინფორმაციის კლასიფიცირება და ინტერპრეტაცია, ნორმალური და პათოლოგიური მდგომარეობების დიფერენცირება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯელობის გამოყენება პაციენტის მდგომარეობის პროგნოზირებისათვის. კვლევითი კომპეტენციების, ჯანმრთელობის ინფორმატიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ინტეგრირება ასევე ადასტურებს შესაბამისობას ჯანდაცვის თანამედროვე სტანდარტებთან.

უნარების სფეროში სწავლის შედეგები ნათლად ასახავს პროგრამის პრაქტიკულ და პროფესიულ ორიენტაციას. სტუდენტებს მოეთხოვებათ ძირითადი საექთნო პროცედურების, რისკების შეფასებისა და ინდივიდუალური მოვლის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების კომპეტენტურად შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკულ აზროვნებას, კლინიკურ განსჯასა და პაციენტის მონაცემების ანალიზის უნარს. პაციენტებთან, მათ ოჯახებსა და მულტიდისციპლინურ გუნდებთან კომუნიკაციის უნარები ასევე სათანადოდ არის ინტეგრირებული, რაც ხელს უწყობს ხარისხიანი მომსახურების გაწევას. გარდა ამისა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის, თანამედროვე ჯანდაცვის ტექნოლოგიების (მათ შორის ჯანმრთელობის ელექტრონული ჩანაწერებისა და ტელემედიცინის) გამოყენებისა და მოვლის გეგმების მუდმივი შეფასებისა და კორექტირების ინტეგრირება მიუთითებს თანამედროვე და ყოვლისმომცველი უნარების სისტემაზე.

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის თვალსაზრისით, სწავლის შედეგები მკაფიოდ განსაზღვრავს პროფესიულ ანგარიშვალდებულებასთან, ეთიკურ ქცევასა და უწყვეტ სწავლასთან დაკავშირებულ მოლოდინებს. კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება, საექთნო საქმეში მიმდინარე კვლევებსა და ინოვაციურ პროცესებში ჩართულობა, ასევე პაციენტის ღირსების, ადვოკატირებისა და კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექთნის პროფესიული იდენტობის გაძლიერებისა და ჯანდაცვის სისტემაში მისი უფრო ავტონომიური როლის ხელშეწყობის კონტექსტში.

პროგრამის სწავლის შედეგებსა და მათი სასწავლო კურსების დონეზე განხორციელებას შორის შესაბამისობა, ზოგადად, სათანადოა. შეფასების მეთოდები, მათ შორის კლინიკური შეფასება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),

OSCE/OSPE ფორმატები და პრაქტიკული ჩეკლისტები, შესაბამისია ყველა მიმართულებით განსაზღვრული კომპეტენციების შესაფასებლად.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები მყარად და საფუძვლიანად არის ჩამოყალიბებული, ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილმა რამდენიმე გამოწვევამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს პრაქტიკაში მათ სრულ და თანმიმდევრულ მიღწევაზე .

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებსა და სწავლის სფეროს სპეციფიკას, სილაბუსებში წარმოდგენილი რეალობა გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. თუ სამუშაოს ორგანიზების თავისებურებების გამო ზოგიერთი სწავლის შედეგი მიჩნეულია „მიუღწევლად“, ეს მიუთითებს სასწავლო გეგმის დიზაინსა და სტუდენტებისთვის განსაზღვრულ მოლოდინებს შორის შეუსაბამობაზე. ამან შესაძლოა გამოიწვიოს სტუდენტების შეფასება ისეთ შედეგებთან მიმართებით, რომელთა მიღწევაც პროგრამის არსებული სტრუქტურის პირობებში არარეალისტური ან შეუძლებელია.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ასევე ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ, სტუდენტები დაესწრებიან სემინარებს თუ ჩაერთვებიან ლაბორატორიულ სამუშაოებში. სემინარები და ლაბორატორიული სამუშაოები განსხვავებული პედაგოგიური მიდგომებია, რომლებიც განსხვავებულ სწავლის შედეგებს განაპირობებს. სემინარები, როგორც წესი, მეტად ორიენტირებულია თეორიულ ცოდნაზე, დისკუსიასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, მაშინ როდესაც ლაბორატორიული სამუშაოები ფოკუსირებულია ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და უნარების განვითარებაზე. მკაფიო ინფორმაციის არარსებობა იმის შესახებ, თუ რომელი მეთოდები იქნება გამოყენებული, აფერხებს სტუდენტების შესაძლებლობას, სათანადოდ მოემზადონ სასწავლო პროცესისთვის და შესაძლოა გაურკვევლობა წარმოშვას მათი აკადემიური პროგრესისა და მოლოდინების მიმართ.

სწავლების მეთოდების დაზუსტების არარსებობა ასევე იწვევს სასწავლო გამოცდილების არათანმიმდევრულობას. სასწავლო გარემოს სხვადასხვა ტიპი (სემინარი და ლაბორატორიული სამუშაო) განსხვავებული უნარების განვითარებას უწყობს ხელს. თუ პროგრამა კონკრეტული მოდულებისა და სასწავლო კურსებისთვის არ განსაზღვრავს, რომელი სწავლების მეთოდი იქნება გამოყენებული, სტუდენტებმა შესაძლოა სრულყოფილად ვერ განივითარონ დაგეგმილი კომპეტენციები, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარები, რომლებიც აუცილებელია რეალურ პროფესიულ გარემოში საქმიანობისთვის. ამან შესაძლოა შეამციროს სწავლის შედეგების ღირებულება და უარყოფითად აისახოს პროგრამის საერთო ხარისხზე.

საქართველოში არსებული კლინიკური გარემო, სადაც ექთნები ჯერ კიდევ ხშირად აღიქმებიან ექიმის დამხმარეებად და არა დამოუკიდებელ პროფესიონალებად, შესაძლოა ზღუდავდეს სტუდენტების შესაძლებლობას, სრულად განივითარონ სწავლის შედეგებში აღწერილი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის დონე. გარდა ამისა, კლინიკურ გარემოში არსებული ენობრივი ბარიერები, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის, შესაძლოა ხელს უშლიდეს კომუნიკაციასთან დაკავშირებული კომპეტენციების ეფექტიანად მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ენის სასწავლო კურსებსა და მენტორულ მხარდაჭერას, პრაქტიკაში ჯერ კიდევ დასადასტურებელია თუ რამდენად საკმარისი იქნება ეს მიდგომა.

კიდევ ერთი გამოწვევა უკავშირდება საექთნო საქმის სფეროში აკადემიურად კვალიფიციური პერსონალის შეზღუდულ რაოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა სარგებლობს მედიცინის გამოცდილი პროფესიონალებისა და მოწვეული პრაქტიკოსების ჩართულობით, საექთნო საქმისათვის სპეციფიკური კომპეტენციების, განსაკუთრებით ლიდერობის, კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული იდენტობის მიმართულებით, განვითარება კიდევ უფრო გაძლიერდებოდა მაღალკვალიფიციური ექთან-განმანათლებლების უფრო მდგრადი ბირთვის არსებობის შემთხვევაში.

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორისაა: კლინიკურ პრაქტიკაზე მკაფიო აქცენტი, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ჯანდაცვის დაწესებულებებთან თანამშრომლობა და კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ინსტიტუციური მხარდაჭერა. დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები რელევანტურია და მოთხოვნადია ჯანდაცვის სისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

[რეკომენდაციები](#).

o უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ სწავლის შედეგები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, მიღწევადი და ჩამოყალიბებული ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი გაზომვადი ზმნების გამოყენებით. დამყარებული უნდა იქნეს კონსტრუქციული შესაბამისობის ცხადი კავშირი სწავლის შედეგებსა და კონკრეტულ სწავლების მეთოდებს (სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები და სხვ.) შორის. სტუდენტებს უნდა მიეწოდოთ დეტალური აღწერა იმისა, თუ რა წვლილს შეიტანს თითოეული მეთოდი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში.

o სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული თითოეული კურსის სწავლების მეთოდები, კონსტრუქციული შესაბამისობა და სწავლის მოლოდინები. სტუდენტებმა უნდა გაიგონ, თუ როგორ დაეხმარებათ ეს მეთოდები სასურველი სწავლის შედეგების მიღწევაში და როგორ უკავშირდება ისინი რეალურ ცხოვრებისეულ გამოყენებას.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

o იმის გათვალისწინებით, რომ სწავლის შედეგები ხაზს უსვამს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტებთან, ოჯახებთან და სამედიცინო გუნდებთან, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ენობრივი მხარდაჭერა საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

o ქართული ენის კურსების გარდა, სასარგებლო იქნება უფრო ფოკუსირებული, ქართულ ენაზე სამედიცინო ტერმინოლოგიის სწავლების და სტრუქტურირებული მენტორობის პროგრამების

შეთავაზება, რომლებიც საერთაშორისო სტუდენტებს მისცემს კომუნიკაციის რეალურ კლინიკურ გარემოში პრაქტიკის შესაძლებლობას.

o გადახედილი და დახვეწილი უნდა იყოს პროგრამის ორგანიზება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსებისა და მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა.**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციასა და ადგილზე ვიზიტისას მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მყარ და ყოვლისმომცველ მექანიზმს. არსებული შეფასების მექანიზმები კარგად არის ინტეგრირებული პროგრამის სტრუქტურაში და შესაბამისობაშია მის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, სისტემა იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების კომბინაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროგრესისა და კომპეტენციების საფუძვლიან და ობიექტურ გაზომვას.

პროგრამა იყენებს შეფასების პირდაპირ მეთოდებს, რაც მოიცავს სტუდენტების მიერ პროგრამის კომპონენტების გამოყენებაზე დაკვირვებასა და სავალდებულო სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტისა და შეფასების ტექნიკის გამოყენებით, როგორიცაა ქვიზები (მოკლე გამოკითხვები), ტესტები, ესეები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები და დასკვნითი გამოცდები. ეს შეფასებები დაკავშირებულია სილაბუსში განსაზღვრულ კონკრეტულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ თითოეული კომპონენტისთვის მოთხოვნილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მიღწევას. პროგრამის შეფასების პირდაპირი მეთოდი იყენებს ზღვარს, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგი

წარმატებით მიღწეულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტების 80% (ან მინიმუმ ათი სტუდენტი თითოეულ ჯგუფში) მიაღწევს მოთხოვნილ კომპეტენციებს. აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი შეესაბამება უმაღლეს განათლებაში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ორიენტირებას ხარისხიან სწავლებასა და ანგარიშვალდებულებაზე.

სასწავლო კურსების კონკრეტულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული დაჯგუფება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს ცალკეული კურსები პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას. სხვადასხვა კურსის შეფასების შედეგების შეჯამება/გაერთიანება კიდევ უფრო განამტკიცებს შეფასების პროცესის სანდოობასა და ვალიდურობას. მონიტორინგის ეს სისტემური მექანიზმი, რომელიც ყოველწლიურად ახლდება, იძლევა უწყვეტი რეფლექსიისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას საქმიანობის შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით.

პირდაპირი შეფასებების გარდა, პროგრამა მოიცავს შეფასების არაპირდაპირ მეთოდებსაც, როგორიცაა სტუდენტთა დინამიკის მონიტორინგი, პროგრამის დასრულების მაჩვენებლები, სტუდენტთა მობილობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. აღნიშნული ინდიკატორები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პროგრამის ფართო გავლენის შესახებ სტუდენტების გრძელვადიან წარმატებასა და შრომის ბაზარზე მათ ინტეგრაციაზე. დაინტერესებული მხარეების — სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების — რეგულარული გამოკითხვა უზრუნველყოფს დამატებითი უკუკავშირისა და თვისებრივი მონაცემების მიღებას პროგრამის ეფექტიანობის შესახებ. აღნიშნული გამოკითხვები, რომლებიც ტარდება როგორც ელექტრონულად, ისე პირისპირ შეხვედრებზე „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში, ხელს უწყობს პროგრამის ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების ყოვლისმომცველ გააზრებას.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ეფუძნება ობიექტურობის, სანდოობის, ვალიდურობის და გამჭვირვალობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თითოეული კომპონენტის შეფასებას წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებისა და სტანდარტიზებული მეთოდების შესაბამისად. შეფასების ეს ტექნიკა ამომწურავად მოიცავს საექთნო განათლების ყველა ასპექტს:

1. **კლინიკური და პრაქტიკული უნარების შეფასება:**
    - OSCE/OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდები) გამოიყენება ტექნიკური უნარების, კომუნიკაციის, ეთიკისა და პაციენტის უსაფრთხოების კომპეტენციების შესაფასებლად.
    - DOPS (პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვება) და WPBA (სამუშაო ადგილზე გამყარებული შეფასება) იძლევა კლინიკურ გარემოში პროფესიული ქცევის, კლინიკური აზროვნებისა და კომუნიკაციის პრაქტიკულ, რეალურ პირობებში შეფასების შესაძლებლობას.
    - კლინიკური პრაქტიკის შეფასება ტარდება უნარების დეტალური მატრიცის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ

საექთნო ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისას პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის დემონსტრირებას.

2. **კლინიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის შეფასება:**
    - CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) და CBCR (შემთხვევაზე დაფუძნებული კრიტიკული რეფლექსია) - სესიები აფასებს სტუდენტების ანალიტიკურ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრისა და გუნდური მუშაობის უნარებს.
    - კლინიკური შემთხვევების ანალიზი ეხმარება სტუდენტებს დიაგნოსტიკური და (პაციენტის) მოვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარის დემონსტრირებაში, რაც განამტკიცებს კრიტიკულ აზროვნებას პაციენტის მოვლის პროცესში.
3. **თეორიული ცოდნის შეფასება:**
    - MCQ გამოცდები (ტესტები) აფასებს სტუდენტების თეორიულ ცოდნასა და საექთნო კონცეფციების ინტეგრირების უნარს.
    - ზეპირი შეფასებები გამოიყენება სტუდენტების მსჯელობის, კომუნიკაციისა და საკუთარი ცოდნის ეფექტიანად ინტერპრეტაციის უნარის შესამოწმებლად.
4. **აკადემიური, კვლევითი და პროფესიული კომპეტენციების შეფასება:**
    - პრეზენტაციები, ესეები, კვლევითი დავალებები: ეს ინსტრუმენტები აფასებს სტუდენტების აკადემიურ კომუნიკაციას, კვლევით უნარებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ აზროვნებას
    - პორტფოლიოები და სტუდენტური დღიურები ასახავს პროფესიულ ზრდას, თვითრეფლექსიასა და ანგარიშვალდებულებას პროგრამის მიმდინარეობისას.
    - მენტორის შეფასებები უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ მონიტორინგს, რაც განაპირობებს სტუდენტთა შეფასებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას .

შეფასების ამ მრავალფეროვანი მეთოდების ინტეგრაცია უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესის ყოვლისმომცველ შეფასებას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპეტენციებზე ფოკუსირებით. უწყვეტი უკუკავშირის სისტემა კიდევ უფრო უწყობს ხელს სტუდენტების უნარებისა და პროფესიული ქცევის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას როგორც პროგრამის სწავლის შედეგებთან, ისე დამოუკიდებელი პრაქტიკისთვის მოთხოვნილ პროფესიულ სტანდარტებთან.

პროგრამის შეფასების მექანიზმი აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს შეფასების ობიექტური და სტანდარტიზებული მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ იმ აუცილებელი კომპეტენციების შეძენას, რომლებიც საჭიროა რეგისტრირებული ექთნის სტატუსით უსაფრთხო და ეფექტიანი საქმიანობისთვის. სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება იძლევა გარანტიას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად იზომება და შეესაბამება საერთაშორისო საექთნო სტანდარტებს. გარდა ამისა, განმავითარებელ (მიმდინარე) და შემაჯამებელ შეფასებებს შორის ბალანსი საშუალებას იძლევა

სტუდენტის უწყვეტი განვითარებისა და წინსვლისათვის, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შესაფასებელი პროგრამა ახალია და ადგილზე ვიზიტისას ბევრი დაკვირვება და მოსაზრება ეფუძნებოდა უნივერსიტეტის სხვა, უკვე აკრედიტებული პროგრამების შეფასებებსა და გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოება პროგრამის შეფასებისთვის მნიშვნელოვან კონტექსტს ქმნიდა, ახალი საექთნო საქმის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ზოგიერთი მექანიზმი და პრაქტიკა ჯერ სრულად დანერგილი არ იყო, რის გამოც მათი პრაქტიკაში მოქმედების სრულყოფილად დაკვირვება ვერ მოხერხდა. პროგრამის განვითარებასა და მეტი მონაცემის ხელმისაწვდომობასთან ერთად, აუცილებელი იქნება შემდგომი შეფასებებისა და ადგილზე ვიზიტების განხორციელება, რათა შეფასდეს პროგრამის ეფექტიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს მისი სწავლის შედეგებისა და შეფასების მექანიზმების სრულიად განხორციელება უნივერსიტეტის სტანდარტებისა და ჯანდაცვის სექტორის მოლოდინების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მჭიდროდ უნდა იყოს შესაბამისობაში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შეფასების მთელი ციკლი, რომელიც მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, იყოს ნათლად ჩამოყალიბებული და ეფექტურად განხორციელებული. მნიშვნელოვან გასაუმჯობესებელ სფეროს წარმოადგენს უზრუნველყოფა, რომ სწავლის შედეგები არა მხოლოდ მიღწევადი იყოს, არამედ მათი გაზომვა შესაბამისი შეფასების მეთოდების გამოყენებით იყოს შესაძლებელი. როგორც აღინიშნა, სწავლების მეთოდებისა და პროგრამის ორგანიზების არასაკმარისმა სიცხადემ შესაძლოა გაართულოს იმის შეფასება, აღწევენ თუ არა სტუდენტები დასახულ შედეგებს. ზემოაღნიშნულის გასაუმჯობესებლად, სწავლების თითოეული მეთოდისთვის (სემინარები, ლაბორატორიული მეცადინეობები და ა.შ.) უნდა შემუშავდეს მკაფიო და კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება გამიჯნული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების საზომი ინდიკატორები.

გარდა ამისა, არსებითად მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ პროგრამის შეფასების შედეგები აქტიურად იქნეს გამოყენებული პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. თუ შეფასების შედეგები თანმიმდევრულად არ გაანალიზდება ან არ დაუკავშირდება ქმედით უკუკავშირს, პროგრამა ვერ შეძლებს ეფექტიან განვითარებას სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საფუძველზე. კარგად სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლის დანერგვამ, სადაც შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება კურიკულუმის განახლებაზე, სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებზე, შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს პროგრამის საერთო ეფექტიანობა. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისგან მონაცემთა რეგულარული შეგროვება და ანალიზი შექმნის მკაფიო სურათს იმისა, თუ სად არის საჭირო გაუმჯობესება, რაც გაამარტივებს პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას როგორც აკადემიურ სტანდარტებთან, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

[რეკომენდაციები](#).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

o იმის გათვალისწინებით, რომ საექთნო პროგრამა ახალია, შემოთავაზებულია მიზნობრივი შეფასებებისა და ვიზიტების ჩატარება მას შემდეგ, რაც პროგრამა სულ მცირე ერთი ნაკადისთვის სრულად განხორციელდება. ეს შეფასებები კონკრეტულად უნდა ფოკუსირდეს საექთნო პროგრამის უნიკალურ ასპექტებზე, მათ შორის სტუდენტთა მოსწრებაზე, კლინიკურ პრაქტიკის ადგილებზე და სწავლის შედეგების რეალურ პრაქტიკასთან შესაბამისობაზე.

o იმისათვის, რომ ახალი საექთნო პროგრამა სწორ გზაზე იყოს სწავლის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტების მისაღწევად, შემოთავაზებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის მიმდინარეობის რეგულარული მონიტორინგი და დაკვირვება ინტეგრირება მოახდინოს ინსტიტუციური შეფასების ფართო სისტემაში.

o დანერგილი უნდა იყოს სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმი, სადაც პროგრამის შეფასების შედეგები თანმიმდევრულად ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების განვითარების კორექტირებისთვის. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ევოლუციას სტუდენტთა მოსწრებაზე დაყრდნობით, აკადემიური სტანდარტებისა და დარგის საჭიროებების შესაბამისად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული „საექთნო განათლების დარგობრივი მახასიათებლების (2025)“ შესაბამისად. აღნიშნული სრულად შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს, პროფესიულ მარეგულირებელ მოთხოვნებს და ევროკავშირის 2005/36/EC დირექტივას პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ.

კავკასიის უნივერსიტეტის საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციების პროგრესულ და სისტემურ განვითარებას. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომლებიც გადანაწილებულია რვა სემესტრზე (ოთხი წელი), სადაც თითოეული აკადემიური წელი 60 ECTS კრედიტისგან შედგება. აღნიშნული სტრუქტურა თანხვედრაშია ევროპული უმაღლესი განათლების სტანდარტულ ჩარჩოებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დაბალანსებული სასწავლო დატვირთვის უზრუნველყოფას პროგრამის განმავლობაში. კრედიტების განაწილება (საშუალოდ 29-31 ECTS კრედიტი სემესტრში) კარგად არის გათვლილი და იცავს ECTS -ზე 25 საათის ნორმას, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს (მაგ., ლექციები, სემინარები და პრაქტიკული სესიები), ასევე დამოუკიდებელ სწავლას (მაგ., დავალებები, კვლევა და თვითმართვადი სწავლა). აკადემიური დატვირთვის ასეთი საგულდაგულო დაგეგმვა ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, თავად მართონ სწავლის ტემპი და ამავდროულად ეფექტიანად მიაღწიონ პროგრამის მიზნებს.

სავალდებულო კომპონენტი (223 ECTS) მოიცავს საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებს (111 ECTS), ფართო კლინიკურ პრაქტიკას (97 ECTS), ენის კურსებს (ქართული/გერმანული/ფრანგული – 12 ECTS) და კვლევის მეთოდოლოგიის მოდულს (3 ECTS). არჩევითი კომპონენტი (17 ECTS კრედიტი) აფართოებს სტუდენტების ცოდნას ისეთ თანამედროვე სფეროებში, როგორიცაა ინოვაციური მოვლის ტექნოლოგიები, გლობალური ჯანდაცვა, პაციენტის უსაფრთხოება და პროფესიული განვითარება.

პროგრამის სტრუქტურა ასახავს კურსების ლოგიკურ მსვლელობას, სადაც სავალდებულო კურსები შეადგენს 223 ECTS-ს, ხოლო არჩევითი კურსები - 17 ECTS-ს. სავალდებულო და არჩევითი საგნების კომბინაცია სტუდენტებს აძლევს საექთნო საქმის

მყარ და საფუძვლიან ცოდნას, ამასთანავე შესაძლებლობას აკადემიური კვლევისა და მათი ინტერესების შესაბამისი მიმართულებით სპეციალიზაციაში. პროგრამის შინაარსი ყოვლისმომცველია და ფარავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორიცაა ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და პათოფიზიოლოგია, რომლებიც აუცილებელია საექთნო საქმის პრაქტიკის საფუძვლების გასაგებად.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების განაწილება უშუალოდ შეესაბამება საექთნო პროფესიისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო კურსებს, ფუნდამენტურ ბიოსამედიცინო დისციპლინებს, კლინიკურ საგნებსა და პროფესიულ საექთნო მოდულებს, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციების თანმიმდევრულ, ლოგიკურ და ეტაპობრივ განვითარებას. თეორიული სწავლება მჭიდროდ არის ინტეგრირებული სიმულაციებზე დაფუძნებულ აქტივობებსა და რეალურ კლინიკურ პრაქტიკასთან, რაც ხელს უწყობს კლინიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების უნარის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის კომპეტენციების განვითარებას.

თვითშეფასების ანგარიშის (SER), წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში განხორციელებული დაკვირვებების საფუძველზე დადგინდა, რომ საექთნო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების სათანადო მომზადებას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა შემუშავებულია ECTS სისტემის შესაბამისად, ფოკუსირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების საუკეთესო პრაქტიკას და უზრუნველყოფს აკადემიური დატვირთვის სათანადოდ განაწილებას სასწავლო მიზნების მისაღწევად.

პროგრამის შინაარსი მოიცავს საექთნო საქმიანობის ძირითად დისციპლინებს, მათ შორის ისეთ ძირითად საგნებს, როგორიცაა ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია და მიკრობიოლოგია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მყარი თეორიული საფუძვლის მიღებას. კლინიკური პრაქტიკის, როგორც პროგრამის ძირითადი პრაქტიკული კომპონენტის, ინტეგრირება წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს რეალურ ჯანდაცვით გარემოში პრაქტიკულად გამოიყენონ და განამტკიცონ თეორიული სწავლების პროცესში მიღებული ცოდნა. აღნიშნული პრაქტიკული გამოცდილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პრაქტიკული აქტივობებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ინტეგრირება ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა ბიოქიმია, სადაც სტუდენტებმა უნდა განავითარონ

ბიოქიმიური მონაცემების (მაგ. არტერიული სისხლის აირები, ლიპიდური პროფილი, HbA1c) ანალიზისა და ინტერპრეტაციის, ასევე ლაბორატორიული პროცედურების შესრულების უნარები. სასწავლო კურსის აღწერილობის შესაბამისად, სტუდენტებისგან მოითხოვება ბიოქიმიური პრინციპების გამოყენება კლინიკური მდგომარეობების შესაფასებლად, აგრეთვე, ბიოქიმიური ცოდნის ინტეგრირება საექთნო შეფასებებსა და პაციენტთა განათლების/ინფორმირების პროცესში. ადეკვატური პრაქტიკული აქტივობების ან ლაბორატორიული საშუალებების გარეშე, სტუდენტებისთვის ამ შედეგების მიღწევა შეუძლებელი იქნება. შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობების ინტეგრირებას და ბიოქიმიური ლაბორატორიული რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, თეორიული ცოდნის პრაქტიკული კომპონენტით მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული არა მხოლოდ აამაღლებს სტუდენტთა სწავლის ხარისხს, არამედ უზრუნველყოფს ეფექტური კლინიკური პრაქტიკისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკული აქტივობები შემოიფარგლება მხოლოდ კლინიკური პრაქტიკით და არ მოიცავს კლინიკამდელი უნარების საკმარის ტრეინინგს. ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ანატომია და ფიზიოლოგია, ბიოქიმია და მიკრობიოლოგია, არსებითი მნიშვნელობისაა საექთნო საქმის სამეცნიერო საფუძვლების გააზრებისათვის, თუმცა ამჟამად არ მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს. ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს პროგრამის ზოგიერთი სასწავლო შედეგის მიღწევას, განსაკუთრებით კი ტექნიკურ უნარებთან და თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებასთან დაკავშირებული შედეგების მიღწევას. აღნიშნულ მიმართულებებში კლინიკამდელი პრაქტიკული სწავლების ინტეგრირება აამაღლებს სტუდენტების მზაობას კლინიკური პრაქტიკის ეტაპისთვის და უზრუნველყოფს სწავლების საწყის ეტაპზევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურ ტრანსფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ორიენტაცია კლინიკურ პრაქტიკაზე არსებითი მნიშვნელობისაა, პრაქტიკული აქტივობების გაფართოება კლინიკამდელი პრაქტიკისა და უნარ-ჩვევების ლაბორატორიების (Skills Labs) ჩართვით, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, განავითარონ საბაზისო საექთნო უნარები და ტექნიკა კონტროლირებად გარემოში, რეალურ კლინიკურ გარემოში შესვლამდე. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების სრულ მზაობას, რათა მათ კლინიკურ სიტუაციებს მეტი კომპეტენტურობითა და თავდაჯერებით გაართვან თავი.

სასწავლო კურსების აღწერილობებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რეალურ განხორციელებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეკომენდებულია სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგიის დაზუსტება, განსაკუთრებით ლაბორატორიულ სამუშაოებთან მიმართებით. ზოგიერთ სილაბუსში აღნიშნულია, რომ სტუდენტებს ექნებათ ლექციები და სემინარები, რასაც მოჰყვება ლექციები და ლაბორატორიული სამუშაოები, თუმცა ტერმინოლოგიაში აშკარა შეუსაბამობაა, რადგან ადგილზე ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ ლაბორატორიები თითქმის არ არსებობს. აღნიშნული

მიუთითებს, რომ სტუდენტებმა შეიძლება მხოლოდ სემინარები გაიარონ და არა რეალური ლაბორატორიული სესიები. სწავლის შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით ისეთი საგნებისათვის როგორიცაა ბიოქიმია, სადაც ლაბორატორიული უნარ-ჩვევები გადამწყვეტია, პროგრამამ ან უნდა უზრუნველყოს საჭირო ლაბორატორიული საშუალებები, ან გადახედოს კურსის აღწერილობას არსებული რესურსების ზუსტად ასახვის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ლაბორატორიული სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია, პროგრამაში ნათლად უნდა იქნას აღნიშნული ეს გარემოება და მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით განხილული უნდა იქნას ალტერნატიული გზები პრაქტიკული სწავლების ან სიმულაციების ინტეგრირებისთვის.

საექთნო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან. აღნიშნული ინტეგრაცია უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსისა და კრედიტების რაოდენობის ადეკვატურობას კურსის სპეციფიკური სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის ყოვლისმომცველი მიზნების რეალიზებას. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები ეფუძნება საექთნო საქმის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს. აღნიშნული მასალები საგულდაგულოდ არის შერჩეული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. (მისაღწევად) მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა რელევანტურია, მათგან მრავალს მოეპოვება უფრო უახლესი გამოცემა, რის გამოც აუცილებელია სილაბუსებში აღნიშნული წყაროების უახლესი ვერსიებით ჩანაცვლება. თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ეთიკური სტანდარტებისა და კვლევითი პრინციპების ინტეგრაცია უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ საგანმანათლებლო გამოცდილებას. პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები უზრუნველყოფს არსებით პრაქტიკულ სწავლებას მედიცინის სხვადასხვა სფეროში, რაც ამზადებს სტუდენტებს საექთნო საქმეში წარმატებული კარიერისთვის. სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კლინიკური პრაქტიკის ინტეგრაციაზე ფოკუსირება სრულ შესაბამისობაშია საექთნო განათლების როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები.
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციენი

- კლინიკური პრაქტიკისთვის სტუდენტთა მზაობის გასაუმჯობესებლად და ყველა სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია საბაზისო კურსებში ადეკვატური დონის პრაქტიკული პრეკლინიკური უნარების ტრენინგის ინტეგრირება. ეს შესაძლოა მოიცავდეს პრაქტიკული ლაბორატორიული სესიების, პრაქტიკული აქტივობებისა და სიმულაციების ჩართვას, რაც დაეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებაში სწავლის ადრეულ ეტაპზევე.
- გაუგებრობის თავიდან აცილებისა და რეალურ პროგრამის განხორციელებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კურსების აღწერილობებსა და სილაბუსებში ტერმინოლოგიის დაზუსტება, კერძოდ, ლაბორატორიულ სამუშაოსა და „პრაქტიკულთან“ დაკავშირებით. ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია ლექციები, სემინარები და ლაბორატორიული სამუშაოები, თუმცა ლაბორატორიული ბაზის არარსებობის გამო, ეს ტერმინოლოგია შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. ტერმინში „პრაქტიკული“ არ არის ცხადი, არის თუ არა ეს სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო თუ სწავლების სხვა მეთოდი. თუ ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება შეუძლებელია, პროგრამამ უნდა გადახედოს კურსების აღწერილობებს, რათა ისინი ზუსტად ასახავდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, და უნდა შეისწავლოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორიცაა სიმულაციები ან ვირტუალური ლაბორატორიები.

პროგრამის განვითარების შესახებ რჩევები

- შემოთავაზებულია სილაბუსებში გამოყენებული სასწავლო მასალების განახლება, რათა სტუდენტები ყველაზე თანამედროვე რესურსებით სარგებლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული მასალები ზოგადად შესაბამისია, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა მოძველებული იყოს. სახელმძღვანელოების, კვლევითი სტატიებისა და კლინიკური გაიდლაინების უახლესი გამოცემების მიწოდება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები საექთნო სფეროში ყველაზე თანამედროვე ცოდნასა და პრაქტიკებზე დაყრდნობით ისწავლონ, რაც გადამწყვეტია მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადებისას.
- პროგრამამ უნდა გადახედოს კურსების აღწერილობებს, რათა ისინი ზუსტად ასახავდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, და შეისწავლოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორიცაა სიმულაციები და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის განკუთვნილი კოლაბორაციული ლაბორატორიები..

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული და სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტები და სწავლის შედეგები უმეტესწილად შესაბამისობაშია ერთმანეთთან. თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტაციასა და ადგილზე ვიზიტის დროს დაკვირვებებზე დაყრდნობით, პროგრამა ეფექტურად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას მოთხოვნილი კომპეტენციების მისაღწევად.

კავკასიის უნივერსიტეტის საექთნო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციების პროგრესულ და სისტემურ განვითარებას. სავალდებულო კომპონენტი (223 ECTS) მოიცავს საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებს (111 ECTS), ფართო კლინიკურ პრაქტიკას (97 ECTS), ენის კურსებს (ქართული/გერმანული/ფრანგული – 12 ECTS) და კვლევის მეთოდოლოგიის მოდულს (3 ECTS). არჩევითი კომპონენტი (17 ECTS კრედიტი) ავითარებს სტუდენტების ცოდნას ისეთ თანამედროვე სფეროებში, როგორიცაა ინოვაციური მოვლის ტექნოლოგიები, გლობალური ჯანდაცვა, პაციენტის უსაფრთხოება და პროფესიული განვითარება.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების განაწილება შესაბამისობაშია საექთნო პროფესიისთვის მოთხოვნილ მიზნობრივ სწავლის შედეგებთან. სასწავლო გეგმა მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო კურსებს, ფუნდამენტურ ბიოსამედიცინო დისციპლინებს, კლინიკურ საგნებსა და პროფესიულ საექთნო მოდულებს, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციების თანმიმდევრულ, ლოგიკურ და ეტაპობრივ განვითარებას. თეორიული სწავლება მჭიდროდ არის ინტეგრირებული სიმულაციებზე დაფუძნებულ აქტივობებსა და რეალურ კლინიკურ პრაქტიკასთან, რაც ხელს უწყობს კლინიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების უნარის, პროფესიული

პასუხისმგებლობისა და პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსები შემუშავებულია მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებითა და სწავლის შედეგებით, რომლებიც შესაბამისობაშია როგორც პროგრამის დონის ამოცანებთან, ისე საექთნო საქმის დარგობრივ მახასიათებელთან (2025 წ.). აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსი პირდაპირ უწყობს ხელს რეგისტრირებული ექთნებისთვის განკუთვნილი 13 ძირითადი პროფესიული კომპეტენციის განვითარებას, როგორიცაა პაციენტის შეფასება, კლინიკური მსჯელობა, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ინფექციების პრევენცია და ლიდერობა. კომპეტენციების აღნიშნული სისტემური ინტეგრაცია უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ აუცილებელი უნარების, ცოდნისა და პროფესიული ქცევის ეტაპობრივ/პროგრესულ განვითარებას მთელი პროგრამის განხორციელებისას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს საბაზისო, პროფესიულ, კლინიკურ და ინტეგრირებულ სასწავლო კურსებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მყარი თეორიული საფუძვლის შექმნას პირველ სემესტრებში და ეტაპობრივ გადასვლას უფრო გაღრმავებულ კლინიკურ პრაქტიკაზე სწავლების შემდგომ ეტაპებზე. სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა მკაფიოა: თითოეულ კურსს თავისი წვლილი შეაქვს პროგრამის მიზნების საერთო მიღწევაში.

თუმცაღა, მნიშვნელოვანი ხარვეზები ფიქსირდება შეთავაზებულ პრაქტიკულ სწავლებაში, განსაკუთრებით ისეთ საბაზისო კურსებში, როგორიცაა ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია და მიკრობიოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურსები სტუდენტებს აწვდის კრიტიკულად მნიშვნელოვან თეორიულ ცოდნას, ამ მიმართულებებით პრაქტიკული ლაბორატორიული უნარების სწავლების ნაკლებობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ლაბორატორიულ გარემოში პრაქტიკული გამოცდილების (hands - on experience) არარსებობა უზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობას, გამოიყენონ თეორიული კონცეფციები რეალურ სცენარებში, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ძირითადი პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. მაგალითად, ბიოქიმიაში, სადაც სტუდენტებისგან მოითხოვება ბიოქიმიური მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია (მაგ. არტერიული სისხლის გაზები, ლიპიდური პროფილი, HbA1c), ადეკვატური ლაბორატორიული რესურსებისა თუ პრაქტიკული სავარჯიშოების გარეშე შეუძლებელია სტუდენტებმა სრულფასოვნად განავითარონ უნარები. ლაბორატორიულ სწავლებაში არსებულმა ამ ხარვეზმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს პროგრამის საკვანძო სწავლის შედეგების მიღწევაზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც ეხება ტექნიკურ კომპეტენციას და კლინიკურ გარემოში თეორიული ცოდნის უსაფრთხოდ და ეფექტურად გამოყენების უნარს.

პრაქტიკული პრეკლინიკური უნარების ნაკლებობის გარდა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში გამოყენებული სასწავლო მასალები დიდწილად შესაბამისია, ზოგიერთ შემთხვევაში მოძველებულია. კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამამ რეგულარულად განაახლოს სასწავლო მასალები, განსაკუთრებით ძირითად საგნებში,

რათა სტუდენტებმა ისწავლონ უახლესი და ყველაზე აქტუალური რესურსების გამოყენებით. სახელმძღვანელოების ბოლო გამოცემების გამოყენება და განახლებული კლინიკური გაიდლაინების (ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორიცაა ჯანმო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი და აფრიკის ასოციაცია) ინტეგრირება აუცილებელია პროგრამის თანამედროვე ჯანდაცვის პრაქტიკასთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად.

აკადემიური კურსების შინაარსს, კრედიტების რაოდენობასა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის შესაბამისობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტები სრულფასოვნად იყვნენ მომზადებულნი პროგრამით დასახული მიზნების შესასრულებლად. მიუხედავად იმის აღნიშნვისა რომ კურსის შინაარსი და კრედიტები მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მიღწევის მხარდაჭერას, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ შინაარსის როგორც სიღრმე, ასევე მოცულობა საკმარისი იყოს სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შესაძენად. თუ სასწავლო კურსის შინაარსი სათანადოდ არ არის შესაბამისობაში დასახულ სწავლის შედეგებთან, შესაძლოა სტუდენტები არასაკმარისად მომზადებულნი აღმოჩნდნენ მიღებული ცოდნის რეალურ პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის თვალსაზრისით, არსებითია, რომ იგი ყოვლისმომცველად ფარავდეს იმ მიმართულებებს/სფეროებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის უფრო ფართო სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსი ეფუძნებოდეს წინარე ცოდნას და წვლილი შეჰქონდეს ერთიანი / თანმიმდევრული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში. თუ შინაარსში ხარვეზებია, ან თუ ზოგიერთი შედეგი სათანადოდ არ არის გათვლილი, სტუდენტებმა შეიძლება გამოტოვონ პროგრამის კრიტიკული ასპექტები, რომლებიც აუცილებელია წარმატებისთვის მათ პროფესიულ სფეროში.

თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია, როგორც წესი, პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპონენტია. პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული სწავლების თანდათანობით დაკავშირებას კლინიკურ პრაქტიკასთან სიმულაციაზე დაფუძნებული ტრენინგებისა და რეალურ სამყაროში კლინიკური პრაქტიკის მეშვეობით. თუმცაღა, საკვანძო საბაზისო კურსებში პრეკლინიკური ლაბორატორიული სწავლების არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს აღნიშნულ ინტეგრაციას, ვინაიდან სტუდენტებს არ ეძლევათ საკმარისი შესაძლებლობა, გამოიყენონ თეორიული ცოდნა კონტროლირებად, პრაქტიკულ გარემოში რეალურ კლინიკურ სივრცეში მოხვედრამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს სასწავლო კურსების შინაარსი, რათა სრულყოფილად მოიცვას ის ცოდნა და უნარები, რაც აუცილებელია განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შინაარსის საკმარისად დეტალურად გაწერა და პროგრამის საერთო მიზნებთან შესაბამისობა, რაც სტუდენტებისთვის თანმიმდევრულ და ლოგიკურად გამართულ სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

o კლინიკური პრაქტიკისთვის სტუდენტთა მზაობის გასაუმჯობესებლად და ყველა სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია საბაზისო კურსებში პრაქტიკული პრეკლინიკური უნარების ტრენინგის ინტეგრირება. ეს შესაძლოა მოიცავდეს პრაქტიკული ლაბორატორიული სესიების, პრაქტიკული აქტივობებისა და სიმულაციების ჩართვას, რაც დაეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებაში სწავლის ადრეულ ეტაპზევე.

o გაუგებრობის თავიდან აცილებისა და რეალურ პროგრამის განხორციელებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კურსების აღწერილობებსა და სილაბუსებში ტერმინოლოგიის დაზუსტება, კერძოდ, ლაბორატორიულ სამუშაოსთან დაკავშირებით. ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია ლექციები, სემინარები და ლაბორატორიული სამუშაოები, თუმცა ლაბორატორიული ბაზის არარსებობის გამო, ეს ტერმინოლოგია შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს. თუ ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება შეუძლებელია, პროგრამამ უნდა გადახედოს კურსების აღწერილობებს, რათა ისინი ზუსტად ასახავდეს ხელმისაწვდომ რესურსებს, და შეისწავლოს პრაქტიკული სწავლის გამოცდილების მიწოდების ალტერნატიული გზები, როგორიცაა სიმულაციები ან ვირტუალური ლაბორატორიები.

o პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები, ასევე მიმდინარე კლინიკური გაიდლაინები და საერთაშორისო სტანდარტები ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორებიცაა ჯანმო (WHO), CDC და ANA. ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა გაცნობას ყველაზე რელევანტურ კვლევებთან, ტექნოლოგიურ მიღწევებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან საექთნო საქმეში, რაც სასწავლო გეგმას შეუსაბამებს ჯანდაცვის თანამედროვე განვითარებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და უმაღლესი განათლების მარეგულირებელ მოქმედ სამართლებრივ აქტებთან. „პროგრამაზე ჩარიცხვა საფუძველია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი) და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, რაც უზრუნველყოფს ჩარიცხული სტუდენტების აკადემიური მზაობის მინიმალურ სტანდარტს.

კურიკულუმი ითვალისწინებს ჩარიცხვის განსხვავებულ/სპეციალურ მექანიზმებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და იმ პირებისთვის, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება უცხოეთში მიიღეს. აღნიშნული მექანიზმები ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლისებს და უზრუნველყოფს პროგრამაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას. პროგრამის უცხო ენაზე სწავლების გათვალისწინებით, დადგენილია ინგლისური ენის ფლობის მინიმალური დონე (არანაკლებ B1), რომლის დადასტურებაც სავალდებულოა საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით ან უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შიდა შეფასების საფუძველზე.

პროგრამაზე მიღების წინაპირობების სისტემა არის გამჭვირვალე, წინასწარ განსაზღვრული და ხელმისაწვდომი ყველა პოტენციური აპლიკანტისთვის. იგი უზრუნველყოფს კანდიდატთა სამართლიან შერჩევას და ქმნის საფუძველს პროგრამის მიზნობრივი სწავლის შედეგების რეალისტურად მიღწევისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი;
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

- /

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- /

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციასა და სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ დაკვირვებებზე დაყრდნობით, საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა ავლენს მზაობას ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა კონცეპტუალურად იმგვარად არის შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს ეფექტიანი საექთნო პრაქტიკისთვის აუცილებელი კომპეტენციების ეტაპობრივ/პროგრესირებად დაუფლებას თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების კომბინირების გზით.

სასწავლო გეგმაში აქცენტირებულია პრაქტიკული უნარების ადრეულ განვითარებაზე, კლინიკური უნარები კი, ძირითად, კომპონენტებად არის განსაზღვრული. სტუდენტებს მოეთხოვებათ პრაქტიკულ სწავლებაში აქტიური ჩართვა, საექთნო პროცედურების შესრულება, პაციენტზე (ორიენტირებული) ზრუნვა და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. აღნიშნული გამოცდილების გაღრმავება ხდება

ჯანდაცვის დაწესებულებებში კლინიკური პრაქტიკის (პრაქტიკული კომპონენტის) გავლის გზით.

თუმცა, ადგილზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამობა პროგრამის დეკლარირებულ დიზაინსა და მის განხორციელებას შორის. ლაბორატორიულ სწავლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებაში არასაკმარისი სიცხადე და სიზუსტეა, რადგან „კლინიკური უნარების ლაბორატორიებად“ აღწერილი სივრცეები არ შეესაბამება ასეთი დაწესებულებების სტანდარტულ მოლოდინებს. აღნიშნული მიუთითებს პროგრამის დოკუმენტაციაში არსებულ გარკვეულ გადაჭარბებაზე და აჩენს ეჭვს სასწავლო პირობების ადეკვატურად წარმოჩენასთან დაკავშირებით.

WFME-ისა და ESG/ENQA-ის სტანდარტების შესაბამისად, აუცილებელია ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს ვიზუალური სასწავლო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორია, სასწავლო ლაბორატორია და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. შესაბამისად, მხოლოდ სადემონსტრაციო ვიზუალური საშუალებებით აღჭურვილი საკლასო სივრცე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრულფასოვან სასწავლო ლაბორატორიად, სადაც სტუდენტები ინდივიდუალურად ახორციელებენ პრაქტიკულ აქტივობებსა და სამეცნიერო პროცედურებს, ან სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიად, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ბიოუსაფრთხოების, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსებით.

გარდა ამისა, შეუსაბამობები გამოვლინდა სასწავლო კურსების სილაბუსებსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის, განსაკუთრებით პრაქტიკული და პრეკლინიკური უნარების განვითარების ნაწილში. აღნიშნული უნარების არტიკულაცია თანმიმდევრულად არ არის განაწილებული მოდულებში, რამაც შეიძლება შეზღუდოს უნარების შეძენის თანმიმდევრულობა და პროგრესი მთელი პროგრამის განმავლობაში. აღნიშნული შეუსაბამობა გარკვეულ ეჭვს ბადებს არსებითი კომპეტენციების სისტემური განვითარებისა და მათი თანმიმდევრული შეფასების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, არ არსებობს სპეციალური ლაბორატორიული საშუალებები კვლევითი საქმიანობისთვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიომედიცინა, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობებს, ჩაერთონ პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევაში. ამ რესურსების არარსებობა საფრთხეს უქმნის პროგრამის სამეცნიერო/კვლევითი კომპეტენციების მიღწევას და ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობას, მიიღონ კვლევითი გამოცდილება კონტროლირებად, უსაფრთხო გარემოში. შესაბამისი ლაბორატორიული სივრცეების გარეშე, სტუდენტები ვერ შეძლებენ სრულფასოვნად ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში ან განივითარონ ისეთი კრიტიკული კვლევითი უნარები, როგორიცაა მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების გამოტანა.

პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტებს, როგორიცაა შემთხვევათა ანალიზი, მცირემასშტაბიანი კვლევითი პროექტები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენება, რაც მიზნად ისახავს სამეცნიერო და კვლევითი კომპენტენციების

განვითარებას. სტუდენტებს წაახალისებენ, რომ ჩაერთონ კვლევით პროექტებში, სადაც ისინი სწავლობენ მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, კვლევითი პრეზენტაციების მომზადებას და აკადემიური წერისა და კრიტიკული შეფასების უნარების გაძლიერებას. მიუხედავად ამისა, კვლევითი ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ბიომედიცინისა და კლინიკურ სფეროებში, პროგრამა სირთულეებს აწყდება სამეცნიერო/კვლევითი მიზნების სრულფასოვნად განხორციელებაში. აუცილებელია უნივერსიტეტმა განახორციელოს ინვესტიციები კვლევით ლაბორატორიებში და უზრუნველყოს შესაბამისი რესურსები სტუდენტების სამეცნიერო კვლევასა და ბიოსამედიცინო კვლევებში ჩართულობის მხარდასაჭერად, პროგრამის მიზნების შესაბამისად.

„პროგრამის შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების კომპონენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული პრაქტიკისა და მოვლის დაგეგმვის ინოვაციურ გამოყენებას, ხორციელდება კლინიკური შემთხვევების ანალიზის (ქეისების), დავალებებისა და სიმულაციური სავარჯიშოების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას, ადეკვატური სიმულაციური ლაბორატორიების არარსებობა ზღუდავს შესაძლებლობას, სრულფასოვნად შეფასდეს და განვითარდეს სტუდენტების შემოქმედებითი მიდგომები კომპლექსური კლინიკური სიტუაციების მართვის პროცესში. სიმულაციის მეტი შესაძლებლობა სტუდენტებს საშუალებას მისცემს, აღმოაჩინონ ინოვაციური მიდგომები და განავითარონ კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარები რეალისტურ, მაგრამ კონტროლირებად გარემოში.

პროგრამა ეფექტურად აერთიანებს ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ლიდერობა და ეთიკური პასუხისმგებლობა, როგორც საკლასო სწავლების, ასევე კლინიკური პრაქტიკის მეშვეობით.

ტრანსფერულ უნარებზე აქცენტის მიუხედავად, კლინიკური პრაქტიკისთვის სპეციალური კვლევითი ლაბორატორიებისა და სიმულაციური ობიექტების ნაკლებობა სტუდენტების კომპეტენციების განვითარებაში ხარვეზებს ქმნის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოქმედებითი/საშემსრულებლო და სამეცნიერო/კვლევითი უნარებისთვის, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის რესურსებზე, მათ შორის ლაბორატორიებსა და სიმულაციურ ინსტრუმენტებზე წვდომას. ამ საშუალებების არარსებობა ხელს უშლის სტუდენტებს, სრულად ჩაერთონ საექთნო პრაქტიკისა და სამეცნიერო კვლევის პრაქტიკულ ასპექტებში.

სასწავლო გეგმის პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებში რამდენიმე კრიტიკული ხარვეზი გამოვლინდა. სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიებისა და კვლევითი დაწესებულებების ნაკლებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობებს, განავითარონ კლინიკურ პრაქტიკასა და სამეცნიერო კვლევაში საჭირო კომპეტენციები, რაც აუცილებელია ყოვლისმომცველი საექთნო განათლებისთვის. გარდა ამისა, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ლაბორატორიული გარემოს ნაკლებობა იწვევს

წუხილს სტუდენტთა უსაფრთხოებასა და ამ მიმართულებით სწავლების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები

[რეკომენდაციები](#).

o რეკომენდებულია დაფინანსების გამოყოფა არსებული საკლასო ოთახების საექთნო უნარების ლაბორატორიებად გარდაქმნისთვის, რომლებიც აღიჭურვება პრეკლინიკური ლაბორატორიული აღჭურვილობით, პროფესიული დონის მანეკენებით, აუცილებელი სამედიცინო მასალებით და საბაზისო სიმულაციური ტექნოლოგიით. ეს უზრუნველყოფს უსაფრთხო და სტრუქტურირებულ გარემოს, სადაც სტუდენტები საბაზისო საექთნო პროცედურების პრაქტიკას პირველივე კურსიდან დაიწყებენ, რაც შეავსებს ხარვეზს თეორიასა და კლინიკურ პრაქტიკას შორის.

o რეკომენდებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის მხარდამჭერი, სპეციალურად საექთნო და კლინიკური კვლევებისთვის განკუთვნილი სივრცეების შექმნა. ეს ლაბორატორიები უნდა იყოს აღჭურვილი მონაცემთა შეგროვების, პაციენტის შეფასების სიმულაციებისა და საბაზისო კლინიკური კვლევებისთვის. ადგილობრივ საავადმყოფოებთან, ჯანდაცვის დაწესებულებებთან და გარე დამფინანსებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გააძლიერებს რესურსებს და შექმნის შესაძლებლობებს სტუდენტების მიერ ხელმძღვანელობილი კვლევითი პროექტებისთვის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასწავლო პროცესში მიზანშეწონილია მაღალი სიზუსტის (high-fidelity) პაციენტის სიმულატორებისა და სიმულაციური ოთახების დანერგვა, რომლებიც რეალურ კლინიკურ გარემოსა და რთულ კლინიკურ შემთხვევებს ასახავს. ასეთი გარემო სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას უსაფრთხო და კონტროლირებად პირობებში განივითაროონ კლინიკური აზროვნება, გადაწყვეტილების მიღების უნარი და პაციენტზე ზრუნვის დაგეგმვის კომპეტენციები. სასურველია რეგულარული სიმულაციური სესიების ინტეგრირება სასწავლო პროგრამის ყველა სასწავლო წლის განმავლობაში.
- სასურველია განხორციელდეს საექთნო უნარებისა და სიმულაციური ლაბორატორიების ყოვლისმომცველი აუდიტი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოქმედ სტანდარტებთან. ეს უნდა მოიცავდეს ინფექციების კონტროლის სათანადო მექანიზმების, გადაუდებელი დახმარების აღჭურვილობის, ვენტილაციის სისტემებისა და სივრცეებზე უსაფრთხო

წვდომის შეფასებას. ასევე სასურველია შეიქმნას ლაბორატორიების ტექნიკური მომსახურების მკაფიო პროცედურები და განხორციელდეს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება პრაქტიკული სწავლების გარემოში ხარისხისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

- სასურველია სასწავლო პროგრამისა და სილაბუსების განახლება ისე, რომ პირველი სასწავლო წლიდანვე გათვალისწინებული იყოს რეგულარული ლაბორატორიული აქტივობები, რომლებიც ინტეგრირებული იქნება გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და კომუნიკაციის კომპონენტებში და გაძლიერდება მენტორობის მექანიზმებით. ასევე მიზანშეწონილია ლაბორატორიული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე ადმინისტრაციული და ელექტრონული მართვის მექანიზმების გამოყენება, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდეს ლაბორატორიული რესურსების გამოყენების რეგულარული მონიტორინგი.
- სასურველია აკადემიური და დამხმარე პერსონალისათვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება ლაბორატორიებისა და პრაქტიკული ინფრასტრუქტურის მართვისა და ექსპლუატაციის პროცედურებთან დაკავშირებით. ამასთან, მიზანშეწონილია შეიქმნას ლაბორატორიებისა და აღჭურვილობის მოვლა-პატრონობის ელექტრონული სისტემა, ხოლო საექთნო მიმართულების აკადემიური პერსონალის ჩართულობით რეგულარულად განხორციელდეს ინფრასტრუქტურის შეფასება და სტუდენტთა უკუკავშირის ანალიზი. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს შესაბამისი ფინანსური რესურსები ინფრასტრუქტურის უწყვეტი განვითარებისა და შენარჩუნებისთვის.
- სასურველია სიმულაციებზე დაფუძნებული სწავლებისა და კვლევითი აქტივობების ინტეგრირება საექთნო პროფესიის ძირითად კომპეტენციებში, მათ შორის გუნდური მუშაობის, ლიდერობის, კომუნიკაციისა და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებებით. რეკომენდებულია სტუდენტებისთვის სტრუქტურირებული მენტორობის სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების გავრცელებაში (მაგალითად, კონფერენციებში მონაწილეობა, პოსტერების მომზადება და სხვ.). ასევე სასურველია ყოველწლიური შეფასების მექანიზმების დანერგვა, რათა სისტემატურად შეფასდეს სტუდენტების კლინიკური უნარების განვითარება და მათი პროგრესი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,2.პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან

შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რისთვისაც გამოიყენება აქტიური და ინტეგრირებული პედაგოგიური მეთოდების ფართო სპექტრი, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის მოსალოდნელ შედეგებთან. სწავლების მეთოდები ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კომპეტენციებად გარდაქმნას და სტუდენტებს კრიტიკულ აზროვნებასა და კლინიკურ მსჯელობაში რთავს. სასწავლო პროცესი მოიცავს ინტერაქტიულ ლექციებს, სემინარებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL/CBCR) და გუნდურ სწავლებას (TBL), რომლებიც ეფექტურია სტუდენტების აქტიური ჩართულობისა და დამოუკიდებელი სწავლის ხელშეწყობის კუთხით. ეს მეთოდები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების კლინიკური უნარებისა და პროფესიული ქცევის განვითარებას.

სიმულაციებზე დაფუძნებული სწავლება, მათ შორის სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება და კლინიკური სწავლება პაციენტის საწოლთან, ქმნის უსაფრთხო გარემოს სტუდენტების პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის. კლინიკური როტაციები კიდევ უფრო აძლიერებს თეორიული ცოდნის ინტეგრაციას რეალურ კლინიკურ გარემოში. გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სწავლების პლატფორმების გამოყენება ხელს უწყობს ინფორმაციის მოძიებას, კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებას და კვლევითი უნარების განვითარებას.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა მენტორობის პროგრამა, რომელიც სტუდენტებს ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და უკუკავშირს სთავაზობს, რაც ხელს უწყობს პროფესიული იდენტობის, ეთიკური ქცევისა და ლიდერული უნარების განვითარებას. ამას ემატება სისტემატური უკუკავშირის მექანიზმების გამოყენება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დაფიქრდნენ საკუთარ პროგრესზე და განავითარონ თვითშეფასების კომპეტენციები.

თუმცა, ამ ძლიერი სწავლების მეთოდების მიუხედავად, ლაბორატორიული უნარების განვითარებაში მნიშვნელოვანი ხარვეზია, რაც სტუდენტების საერთო პრაქტიკული კომპეტენციისთვის გადამწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოიცავს კლინიკური უნარების ტრენინგს და სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლებას, ლაბორატორიული სამუშაოები თითქმის არ არსებობს ისეთ საბაზისო კურსებში, როგორიცაა ბიოქიმია, ანატომია და მიკრობიოლოგია, სადაც პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა აუცილებელია თეორიული ცოდნის გასამყარებლად. ლაბორატორიულ პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების არასაკმარისი რაოდენობა ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობას, განავითარონ ტექნიკური და პრაქტიკული უნარები, რომლებიც აუცილებელია კლინიკური პრაქტიკისთვის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიოქიმიური მონაცემების ანალიზი და კლინიკური დიაგნოსტიკა.

კლინიკურ პრაქტიკასა და სიმულაციურ სწავლებაზე არსებული ფოკუსი/აქცენტი მისასალმებელია, თუმცა იგი ადეკვატურად ვერ პასუხობს პრეკლინიკური ლაბორატორიული უნარ-ჩვევების განვითარების ფუნდამენტურ საჭიროებას. შესაბამისი ლაბორატორიული ბაზისა და პრაქტიკული მეცადინეობების გარეშე, სტუდენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ განათლების ისეთ საკვანძო ასპექტებში, როგორიცაა ბიოქიმიური ანალიზის განხორციელება ან ტექნიკური პროცედურების შესწავლა კონტროლირებად გარემოში. პრაქტიკულ მომზადებაში არსებულმა აღნიშნულმა ხარვეზმა შესაძლოა შეაფერხოს გარკვეული სწავლის შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით მათი, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ კომპეტენტურობასა (ოსტატობასთან) და კლინიკური ცოდნის უსაფრთხო გამოყენებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები

[რეკომენდაციები](#).

- რეკომენდებულია პრეკლინიკური პრაქტიკული ლაბორატორიული სწავლების უკეთ ინტეგრირება საბაზისო სასწავლო კურსებში, იმისათვის, რომ სტუდენტებმა განივითარონ აუცილებელი ტექნიკური უნარები და მიაღწიონ სწავლის ძირითად შედეგებს. ეს სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში გამოიყენონ, რაც გააძლიერებს მათ კლინიკურ აზროვნებასა და ბიოქიმიური მონაცემების ანალიზის უნარს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საექთნო პრაქტიკისთვის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- /

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,3.სწავლება-სწავლის მეთოდები;	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის სასწავლო კურსების სილაბუსებისა და შეფასების პოლიტიკის, ასევე ვიზიტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება, ზოგადად, ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და არსებითად შეესაბამება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოთხოვნებს. სილაბუსებში წინასწარ და მკაფიოდ არის აღწერილი შეფასების კომპონენტები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სტუდენტებს დროულად მიეწოდებათ. ამასთან, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შუალედური და დასკვნითი გამოცდების, კლინიკური პრაქტიკის შეფასებისა და კურსის სხვა სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ.

ვიზიტის დროს გამოვლენილი შეფასების მეთოდები სათანადოდ ასახავს სასწავლო კურსების სპეციფიკას და შეესაბამება დეკლარირებულ სწავლის შედეგებს. თეორიულ და პრეკლინიკურ კომპონენტებში შეფასება მოიცავს მრავალპასუხიან ტესტურ კითხვებს (MCQ), შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL) და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), რაც მცირე ჯგუფებში თითოეული სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას

უზრუნველყოფს. ჯგუფებში სტუდენტთა შეზღუდული რაოდენობა (როგორც წესი, 6-10 სტუდენტი პრაქტიკულ ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და კლინიკურ როტაციებზე) ქმნის ინდივიდუალური დაკვირვებისა და ობიექტური შეფასების ხელსაყრელ პირობებს. CBL-ისა და PBL-ის სესიების დროს თითოეული სტუდენტი აქტიურად არის ჩართული და ფასდება სტრუქტურირებული კითხვების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შემთხვევების (მათ შორის USMLE-ის ფორმატზე აგებული შემთხვევების) ანალიზისა და კლინიკური აზროვნების შეფასების გზით. ნაკლებად აქტიური სტუდენტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება დამატებითი კითხვები, რაც შეფასების პროცესს უფრო ყოვლისმომცველსა და სამართლიანს ხდის. შუალედურ და დასკვნით გამოცდებში ობიექტური სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის (OSPE) მოდელების გამოყენება, ისევე როგორც ორგანოთა სისტემების მიხედვით ორგანიზებული კლინიკური შემთხვევების პრეზენტაციები, დამატებით უწყობს ხელს შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას.

კლინიკური სწავლების კომპონენტში მენტორობის მოდელი ქმნის შეფასების სტრუქტურირებულ და ინდივიდუალურ მიდგომას. თითოეულ კლინიკურ ჯგუფს (6-8 სტუდენტი) ჰყავს განსაზღვრული მენტორი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების უშუალო დაკვირვებასა და შეფასებაზე. კონკრეტული კომპეტენციების, მათ შორის ანამნეზის შეგროვების, კომუნიკაციის უნარებისა და კლინიკური აზროვნების შესაფასებლად გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა პაციენტის საწოლთან შეფასება (bedside evaluation) და სტრუქტურირებული შეფასების ფორმები (checklists). მენტორი აკვირდება სტუდენტს პაციენტთან ურთიერთობის პროცესში და აფასებს მის საქმიანობას ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ყოველდღიური შემაჯამებელი საათი, რომლის დროსაც სტუდენტები სიტყვიერად წარადგენენ კლინიკურ შემთხვევებს, ასევე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს განმავითარებელი შეფასებასა და უკუკავშირის პროცესში. ბიოეთიკისა და კომუნიკაციის კურსებში როლური თამაშების (role-play) გამოყენება, რომელიც მცირე OSCE-ის ფორმატით ხორციელდება, აძლიერებს პროფესიული და კომუნიკაციური კომპეტენციების შეფასებას. ამავდროულად, აღინიშნა, რომ ენობრივი ბარიერების გამო გარკვეულ კლინიკურ გარემოში საერთაშორისო სტუდენტების მიერ ანამნეზის შეგროვება ზოგჯერ მენტორების ან სხვა ჯანდაცვის პროფესიონალების დახმარებითა და თარგმანის საშუალებით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, შესაძლოა გარკვეულწილად ზღუდავდეს ავთენტურ გარემოში პაციენტთან დამოუკიდებელი კომუნიკაციის შესაძლებლობას.

კავკასიის უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების მექანიზმები. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს როგორც ქვიზებისა და სასწავლო

აქტივობების დასრულებისთანავე, ასევე სპეციალურად გამოყოფილი საკონსულტაციო საათების ფარგლებში. თითოეული სასწავლო კურსისთვის დამატებით გათვალისწინებულია ხუთი საათი საკონსულტაციო შეხვედრებისთვის, რომელთა დროსაც ლექტორები სტუდენტებთან ინდივიდუალურად განიხილავენ მათ აკადემიურ შედეგებს, ძლიერ მხარეებსა და გაუმჯობესების საჭიროებებს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს სტუდენტების განვითარებას და საკუთარი სწავლის შედეგების გააზრებას. დაწესებულების დონეზეც ფუნქციონირებს უკუკავშირის სისტემა: სტუდენტები ელექტრონული პლატფორმის საშუალებით ავსებენ კითხვარებს, რომელთა შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი აანალიზებს. ანალიზის შედეგები გაზიარებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები, რომ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები სწავლებისა და შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების მეთოდებსა და რეკომენდებულ ლიტერატურაში, რაც ადასტურებს შეფასების შედეგების გამოყენებას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

აპელაციის პროცესი ფორმალურად რეგულირებულია და სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია. შეფასების შედეგთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია წერილობით მიმართოს ლექტორს. თუ იგი არ დაკმაყოფილდება პირველადი განხილვის შედეგით, უფლება აქვს წარადგინოს განმეორებითი აპელაცია, რომელსაც განიხილავს კომისია, რომელშიც შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, მონიტორინგის მიმართულების წარმომადგენლები და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელიც არ არის თავდაპირველი შემფასებელი. საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს. აღნიშნული მრავალსაფეხურიანი პროცესი ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, რადგან უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დამოუკიდებელ გადახედვას და სტუდენტებისთვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობას.

საერთო ჯამში, კავკასიის უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მრავალფეროვანი და სტრუქტურირებული შეფასების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობას, სტუდენტებისთვის უკუკავშირისა და აპელაციის შესაძლებლობებს, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმებს. მცირე ჯგუფებში სწავლება, მენტორობაზე დაფუძნებული კლინიკური შეფასება, სტრუქტურირებული შეფასების ფორმები, OSPE-ის მოდელები და აქტიურ სწავლებაზე დაფუძნებული მიდგომები ერთობლივად ქმნის სამართლიანი და სანდო შეფასების სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტუდენტებისთვის პირდაპირ პაციენტებთან კომუნიკაციის მიმართულებით აღინიშნა

გარკვეული გამოწვევები, დაწესებულებას აქვს მსგავსი გამოცდილება სხვა პროგრამების განხორციელების პროცესში და გამოხატავს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს სტუდენტების კლინიკურ გარემოში აქტიურ ჩართულობას, რათა მათ შეძლონ მაქსიმალური პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის მიღება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს და ფლობს სტუდენტთა შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის მონიტორინგისა და გაუმჯობესების ფუნქციონირებად სისტემას, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც სწავლება მოითხოვს სტრუქტურირებულ ან დისტანციური მხარდაჭერის ელემენტების გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინსტიტუციური დოკუმენტაცია (საგნების სილაბუსები, შეფასების პოლიტიკა);
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

[რეკომენდაციები](#).

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2,4.სტუდენტებს შეფასება:	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, ინსტიტუციური დოკუმენტაციისა და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, კავკასიის უნივერსიტეტში დასტურდება მთელი რიგი მექანიზმების არსებობა, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების მხარდაჭერას აკადემიურ დაგეგმვაში, პროფესიულ განვითარებასა და კლასგარეშე (სასკოლო/საუნივერსიტეტო) და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობაში. ამავდროულად, გარკვეული სტრუქტურების/მექანიზმების ფუნქციონირება საჭიროებს შემდგომ დაზუსტებასა და მათი ხილვადობის გაზრდას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მხრიდან მათი ერთგვაროვანი აღქმა და ეფექტიანი გამოყენება.

აკადემიური მხარდაჭერა უპირატესად ხორციელდება სტუდენტებსა და აკადემიურ ან ადმინისტრაციულ პერსონალს შორის პირდაპირი და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის გზით. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღწერეს სისტემა, რომლის დროსაც ისინი თავს კომფორტულად გრძნობენ აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული რჩევებისა და პროფესიული რჩევებისთვის ადმინისტრაციის ან ფაკულტეტის წევრებისთვის პირდაპირ მიმართვისას - პირადად ან ელექტრონული ფოსტით. კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს კმაყოფილება სასწავლო პროცესით, განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს კლინიკური სწავლების ხარისხს, სწავლის შეუფერხებელ ორგანიზებას და ბოლო სემესტრის კვლევითი დავალების მნიშვნელობას კვლევითი კომპეტენციების განვითარებისთვის. სემინარები და აკადემიური აქტივობები აღიქმებოდა, როგორც დამხმარე საშუალება კურსდამთავრებულების საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად და სამედიცინო სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულობის შესანარჩუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური დოკუმენტაცია ეხება სტუდენტური სერვისების სტრუქტურირებულ ჯგუფს, მათ შორის სტუდენტური სერვისების დეპარტამენტსა და კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ოფისს,

სტუდენტებს ყოველთვის არ შეეძლოთ ამ ერთეულების კონკრეტული ფუნქციების ნათლად აღწერა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მიუხედავად პრაქტიკულად ხელმისაწვდომი მხარდაჭერისა, ამ სტრუქტურების როლები და მომსახურებები უფრო მკაფიოდ უნდა იყოს მიწოდებული, რათა სტუდენტებმა სრულად აღიქვან და ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსები. კარიერული მხარდაჭერა ეფექტურად ხორციელდება, თუმცა, მეტწილად აკადემიური პერსონალის ჩართულობით და არა მკაფიოდ გამოკვეთილი ცენტრალიზებული სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.

ინტერნაციონალიზაციისა და კლასგარეშე ჩართულობის თვალსაზრისით, კავკასიის უნივერსიტეტი პოზიტიურ ინსტიტუციურ ინიციატივებს ავლენს. უნივერსიტეტი ინარჩუნებს აქტიურ თანამშრომლობას „ერაზმუს+“ (Erasmus+) პროგრამის ფარგლებში და აქვს მობილობის პროექტებში მონაწილეობის მაღალ მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ საექთნო პროგრამისთვის კონკრეტული შეთანხმებები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, პარტნიორმა დაწესებულებებმა გამოხატეს მზადყოფნა თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გაცვლითი შესაძლებლობების შესახებ, მაშინაც კი, თუ მონაწილეობა შეზღუდულია ან ჯერ არ განხორციელებულა. გარდა ამისა, კავკასიის უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას კვლევებში, პუბლიკაციების მომზადებას საუნივერსიტეტო ჟურნალში, კონფერენციებში მონაწილეობას (მათ შორის, ფინანსურ თანადაფინანსებას/სპონსორობას), სტიპენდიების გაცემას მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის და არაფორმალურ ინიციატივებს. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს კვლევის შედეგების გავრცელების შესაძლებლობების არსებობა და გამოხატეს კმაყოფილება სწავლის პერიოდში დაწესებულების მხრიდან არსებული მხარდაჭერის მიმართ.

საერთო ჯამში, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილება და აღნიშნეს, რომ თავს მხარდაჭერილად გრძნობენ საუნივერსიტეტო გარემოში. კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს აკადემიური და პროფესიული მხარდაჭერის მრავალფეროვან მექანიზმს, თუმცა სტუდენტური მხარდაჭერისა და წარმომადგენლობითი სტრუქტურების, მათ შორის სტუდენტური სერვისების დეპარტამენტის, კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის ოფისისა და ომბუდსმენის სამსახურის საქმიანობისა და ფუნქციების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა კიდევ უფრო გააძლიერებდა სტანდარტთან შესაბამისობას, ასევე ხელს შეუწყობდა გამჭვირვალობის, სტუდენტთა ჩართულობისა და აღნიშნული სერვისების ეფექტიანად გამოყენების ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმები

[რეკომენდაციები](#).

/

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კავკასიის უნივერსიტეტმა, სასურველია გააძლიეროს სტუდენტების ინფორმირებულობა და უზრუნველყოს სტუდენტური სერვისების სხვადასხვა ერთეულებისა და სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურების მოწყობის, ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მკაფიო და ეფექტიანი კომუნიკაცია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

/

მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- /

რეკომენდაციები.

- /

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- /

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2.მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	/

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები

უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის დამხმარე დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული დაკვირვებების საფუძველზე, საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართული პერსონალი არის მაღალკვალიფიციური, შესაბამის სფეროში მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით. პროგრამაში დასაქმებულია აკადემიური პერსონალი (27 წევრი) და მოწვეული ლექტორები (46 წევრი), რაც უზრუნველყოფს ფართო სპექტრის გამოცდილებას, როგორც სწავლების, ასევე კლინიკური პრაქტიკის სფეროში. საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაში 73 აკადემიური და მოწვეული თანამშრომელია ჩართული, მათ შორის 27 აკადემიური თანამშრომელი: 8 პროფესორი (მათ შორის 5 აფილირებული პროფესორი), 8 ასოცირებული პროფესორი (4 აფილირებული), 10 ასისტენტ-პროფესორი (8 აფილირებული) და 47 მოწვეული ლექტორი.

პერსონალს აქვს დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროებში ან ზოგი მათგანი აპირებს დოქტორის ხარისხის მიღებას. ასევე ფლობენ მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას, აქვთ პუბლიკაციები და აქტიურად მონაწილეობენ მიმდინარე კვლევებში. მათი ცოდნა და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო შედეგების ეფექტურად მიღწევას, რაც მხარს უჭერს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისია პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად. პერსონალის კვლევითი, კლინიკური პრაქტიკისა და სწავლების გამოცდილება უზრუნველყოფს, მათ სრულ მზადყოფნას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს აკადემიურ გზაზე, მათ შორის სტაჟირებისა და კლინიკური როტაციების დროს მენტორობისა და ზედამხედველობის გასაწევად. გამოყენებული სწავლების მეთოდები, როგორიცაა ინტერაქციული ლექციები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სიმულაციაზე დაფუძნებული ინსტრუქციები, ეფექტურად არის გამყარებული აღნიშნული ფაკულტეტის წევრთა შესაძლებლობებით. ეს სტუდენტებს საშუალებას აძლევს განივითარონ როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ასევე კრიტიკული აზროვნება, რაც აუცილებელია წარმატებული საექთნო კარიერისთვის.

საექთნო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კლინიკურ გარემოში მომუშავე ექთნების საკითხი, რომლებიც ინგლისურად არ საუბრობენ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტების მომზადებაზე, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ჯანდაცვის გარემოში სამუშაოდ. საერთაშორისო სტუდენტებისთვის, კონკრეტულად მათთვის, ვისი მშობლიური ენაც ქართული არ არის, კლინიკური პრაქტიკის დროს ამ ენობრივმა ბარიერმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს პაციენტებთან, პერსონალთან და ფაკულტეტის წევრებთან კომუნიკაცია. ვინაიდან სამედიცინო სფეროში ზუსტი კომუნიკაციისთვის, კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ინგლისური ენის ცოდნა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, კლინიკურ გარემოში ინგლისურენოვანი ექთნების

ნაკლებობა დამატებით გამოწვევას ქმნის. აღნიშნული განსაკუთრებით კრიტიკულად მნიშნელოვანია საერთაშორისო სტაჟირების ან გლობალურ ჯანდაცვის სისტემებში კლინიკური როტაციების დროს, სადაც ინგლისური ხშირად საერთო ენაა.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, სასწავლო პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც უკავშირდება ზოგიერთი აკადემიური და კლინიკური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონეს. ვინაიდან პროგრამა სრულად ინგლისურ ენაზე უნდა განხორციელდეს, ყველა აკადემიური, მოწვეული და კლინიკური პერსონალის ინგლისური ენის საკმარისი ფლობა წარმოადგენს საგანმანათლებლო ხარისხისა და სტუდენტთა უსაფრთხოების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სტუდენტების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ზოგიერთი აკადემიური და კლინიკური პერსონალი ვერ ახერხებდა ინგლისურ ენაზე თავისუფალ კომუნიკაციას და განხილვები ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. აღნიშნული გარემოება ცხადყოფს არსებულ ენობრივ ბარიერს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს კლინიკური სწავლების, სტუდენტთა ზედამხედველობისა და შეფასების პროცესზე. შესაბამისად, მოცემული საკითხი უნდა ჩაითვალოს არა პროგრამის სამომავლო განვითარების შესაძლებლობად, არამედ მიმდინარე ოპერაციულ გამოწვევად, რომელიც საჭიროებს დროულ და ეფექტიან რეაგირებას. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა გამოიწვიოს კომუნიკაციის სირთულეები სტუდენტებსა და აკადემიურ ან კლინიკურ პერსონალს შორის, რაც უარყოფითად აისახება სწავლების ხარისხზე, სტუდენტების მიერ სასწავლო მასალის ათვისებაზე და მათ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში. ენობრივი ბარიერი განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ პროგრამაში, რომელიც მოიცავს კომპლექსურ და მაღალსპეციალიზებულ საკითხებს, როგორებიცაა საექთნო მოვლა, კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება და კვლევის მეთოდოლოგია. ასეთ პირობებში პერსონალს შესაძლოა გაუჭირდეს სტუდენტებისთვის სრულფასოვანი უკუკავშირის, აკადემიური მხარდაჭერისა და მენტორობის გაწევა.

გარდა ამისა, აღნიშნული გამოწვევა შეიძლება უარყოფითად აისახოს კლინიკური მენტორობისა და პაციენტებთან ურთიერთობის ხარისხზეც, რადგან ეფექტიანი კომუნიკაცია წარმოადგენს როგორც კლინიკური პრაქტიკის, ისე საგანმანათლებლო პროცესის ფუნდამენტურ კომპონენტს. შესაბამისად, პროგრამის წარმატებული განხორციელებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უნივერსიტეტმა მიიღოს შესაბამისი ზომები პროგრამაში ჩართული აკადემიური და კლინიკური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის უზრუნველსაყოფად და სისტემატურად შეაფასოს მათი ენობრივი მზადყოფნა საერთაშორისო სტუდენტებთან მუშაობის კონტექსტში.პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებაში ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მხარდაჭერა ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი და სტუდენტური მომსახურების მენეჯერი მჭიდროდ თანამშრომლობენ აკადემიურ პერსონალთან, რათა შეინარჩუნონ სასწავლო გეგმის სტრუქტურა, მხარი დაუჭირონ ინდივიდუალური სტუდენტის პროგრესს და უზრუნველყონ ადმინისტრაციული ფუნქციების ეფექტურად მართვა. სტუდენტებს აქვთ პირდაპირი წვდომა მენტორობასა და კონსულტაციაზე, რაც აუცილებელია პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა შესაბამისად არის განაწილებული პროგრამის მდგრადობისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, ჩნდება რამდენიმე კითხვა ძირითადი პერსონალის წევრების

ხელმისაწვდომობასა და სამუშაო დატვირთვის მართვასთან დაკავშირებით. პროგრამაში ჩართული მრავალი პროფესორი ასევე მუშაობს კლინიკებში და უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობებზე არიან დაკავებული. ამ ორმაგმა დატვირთვამ შესაზლოა გამოიწვიოს დროის შეზღუდვა და სტუდენტებისთვის არასტაბილური ხელმისაწვდომობა, რაც პოტენციურად გავლენას იქონიებს სწავლების, მენტორობისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხზე.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, სტუდენტების რაოდენობასა და მისაღებ კონტინგენტს, პერსონალის ხელმისაწვდომობის ფაქტმა, განსაკუთრებით მათი მრავალფეროვანი პროფესიული ვალდებულებების გათვალისწინებით, შეიძლება გავლენა იქონიოს სტუდენტების მხარდაჭერისა და ჩართულობის ხარისხზე. ფურცელზე პერსონალისა და სტუდენტის თანაფარდობა შეიძლება საკმარისი ჩანდეს, მაგრამ პერსონალის რეალურ შესაძლებლობას, გამოავლინოს ინდივიდუალური ყურადღება და მიაწოდოს მაღალი ხარისხის სწავლება, შეიძლება საფრთხე შეექმნას მათი სხვადასხვა პოზიციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, კვლევითი აქტივობების ინტეგრაცია და შემოქმედებით წვლილში ჩართულობის დონე შეიძლება შეიზღუდოს პერსონალის სხვადასხვა პროფესიული და აკადემიური ვალდებულებების გადანაწილებიდან გამომდინარე.

სტუდენტებისთვის სწავლებისა და მხარდაჭერის ხარისხის შესანარჩუნებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პერსონალის სამუშაო დატვირთვის ხელახლა შეფასება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამა ზედმეტად არ იყოს დამოკიდებული პროფესორებზე, რომლებსაც აქვთ გარე ვალდებულებები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ სრულ ჩართულობას პროგრამის განხორციელებაში. უნივერსიტეტმა ასევე უნდა განიხილოს პერსონალსა და სტუდენტს შორის თანაფარდობის კორექტირება და იმის უზრუნველყოფა, რომ აკადემიურ პერსონალს შეეძლოს პროგრამისთვის საჭირო დროის დათმობა სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებისა და კვლევითი ინიციატივების ეფექტურად მხარდაჭერის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში ადეკვატური კვლევითი ობიექტების არარსებობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენ. ამჟამად, კვლევითი საქმიანობა შეზღუდულია, გამომდინარე იქიდან, რომ საჭირო საშუალებები, განსაკუთრებით ბიომედიცინისა და საექთნო საქმის მსგავს სფეროებში, ან არ არის ხელმისაწვდომი, ან არასაკმარისად არის აღჭურვილი. შედეგად, აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული კვლევების დიდი ნაწილი უნივერსიტეტში არ ხორციელდება, რაც ხელს უშლის კვლევაზე დაფუძნებული სწავლების, როგორც სასწავლო გეგმის ნაწილის განვითარებას.

პროგრამის ხელმძღვანელი მაღალკვალიფიციურია და ფლობს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. მისი გამოცდილება სწავლებისა და გამოყენებითი კვლევის სფეროში განაპირობებს პროგრამის ძლიერ აკადემიურ ხელმძღვანელობას. ასოცირებული პროფესორი მაჩიტიძე უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში და ხელმძღვანელობას უწევს განხორციელების მთელ პროცესს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესაბამისობას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო საექთნო სტანდარტებთან. მისი აქტიური ჩართულობა ზრდის პროგრამის სანდოობას და განაპირობებს მის მუდმივ გაუმჯობესებას.

პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათ შორის სტუდენტური მომსახურების მენეჯერი და საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, სტუდენტებისთვის უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველ ტექნიკურ მხარდაჭერას, აკადემიური პროგრესის

ხელმძღვანელობასა და კლასგარეშე აქტივობებში დახმარებას. სტუდენტების განვითარების ხელშეწყობაში ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს მენტორობის პროგრამა, რაც მათ, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული გამოწვევების გადალახვაში ეხმარება. დამხმარე პერსონალი სათანადოდ არის მომზადებული და მათი მოვალეობები სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს საჭირო მხარდაჭერას სწავლის შედეგებისა და სწავლაში წარმატების მისაღწევად.

აკადემიური ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება დადგენილი ინსტიტუციური პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს პერსონალის დაქირავებას, შერჩევას, დანიშვნასა და მუდმივ პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული რეგულაციები და პროცედურები შემუშავებულია გამჭვირვალობის, თანასწორობისა და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევის უზრუნველსაყოფად, რაც, თავის მხრივ, იმის გარანტიას იძლევა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყვნენ კვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ საჭირო საგანმანათლებლო კვალიფიკაცია, კლინიკური გამოცდილება და პედაგოგიური კომპეტენციები.

როგორც მუდმივი აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული ლექტორების დაქირავება და შერჩევა ხორციელდება სისტემატური პროცესების მეშვეობით, რაც გამოკვეთს შემდეგს:

კანდიდატები ფასდებიან მათი აკადემიური კვალიფიკაციის, საექთნო საქმისა და მასთან დაკავშირებული ჯანდაცვის მეცნიერებების სპეციალიზებული ცოდნისა და პედაგოგიური პასუხისმგებლობის შესაბამის სფეროებში გამოცდილების დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე.

საექთნო განათლების პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, კანდიდატების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ კლინიკური პრაქტიკულ გამოცდილებას, კლინიკური ცოდნის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან ეფექტიანად დაკავშირების უნარს.

შერჩევის პროცესი ითვალისწინებს კანდიდატების მიერ დემონსტრირებულ სწავლების უნარებს, პედაგოგიურ ცოდნასა და სწავლის ხელშემწყობი მრავალფეროვანი ინსტრუქციული სტრატეგიების გამოყენების შესაძლებლობას.

აკადემიური თანამდებობები ითვალისწინებს კანდიდატების ჩართულობას კვლევასა და სამეცნიერო პუბლიკაციებში და ასევე მათ წვლილს საექთნო ცოდნის განვითარებაში.

მოწვეული ლექტორების დანიშვნა ხდება შედარებითი კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ფოკუსირებულია მათ სპეციალიზებულ ცოდნასა და უნარებზე, მიმდინარე კლინიკურ პრაქტიკაზე, სწავლების გამოცდილებასა და სასწავლო გეგმის კონკრეტულ კომპონენტებში ეფექტური წვლილის შეტანის შესაძლებლობაზე. მოწვეული პრაქტიკოსების ჩართვა აძლიერებს პროგრამას, კერძოდ:

- აკადემიური პერსონალის შერჩევისა და პროფესიული განვითარების გამჭვირვალე სისტემა, მათ შორის ტრენინგები, ინდივიდუალური განვითარების გეგმები და მობილობის შესაძლებლობები.
- საერთაშორისო თანამშრომლობა და აკადემიური მობილობის მხარდაჭერა, პროგრამის გლობალური ინტეგრაციისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**73**			
- პროფესორი	8			5
- ასოცირებული პროფესორი	8			4
- ასისტენტ–პროფესორი	10			8
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	47			_
სამეცნიერო პერსონალი				_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

გამომდინარე იქიდან, რომ „საექთნო საქმე“ ახლადშექმნილი სასწავლო პროგრამაა, ტრადიციული გაგებით ხუთწლიან პერიოდში აკადემიური პერსონალის გადინების ტემპის შეფასება ჯერ არ არის შესაძლებელი. თუმცა, არსებული მონაცემები მიუთითებს სტაბილურ საწყის საშტატო სტრუქტურაზე, 26 ახლად დაქირავებული აკადემიური პერსონალით, რომელთაგანაც არცერთი რეგისტრირებული თანამშრომელი არ წასულა, რაც საწყის ეტაპზე 0%-იან გადინების მაჩვენებელზე მიუთითებს.

აღნიშნული მიუთითებს ინსტიტუციური სტაბილურობისა და ერთგულების მაღალ დონეზე პროგრამის ადრეული განხორციელების ფაზაში. აკადემიური პერსონალის დაქირავება, როგორც ჩანს, სტრატეგიულად იყო დაგეგმილი, რაც თავიდანვე უზრუნველყოფდა სასწავლო და კლინიკური კომპონენტების ადეკვატურ დაფარვას.

მიუხედავად ამისა, პროგრამის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება პერსონალის შენარჩუნების, სამუშაო დატვირთვის განაწილებისა და გრძელვადიანი მდგრადობის მუდმივი მონიტორინგი, განსაკუთრებით პოტენციური გამოწვევების გათვალისწინებით, როგორიცაა პერსონალის მობილობა, მოწვეული პროფესიონალების ჩართულობა და სტუდენტების ჩარიცხვის ზრდა. დროთა განმავლობაში პროგრამის ხარისხის შესანარჩუნებლად აუცილებელია გადინების ინდიკატორების სისტემატური მონიტორინგი და თანამშრომელთა შენარჩუნების სტრატეგიების განხორციელება.

[5]ძირითადი
სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და ინტერვიუები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან (ადრე) გაფორმებული კონტრაქტები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესები;
- ბრძანება პროგრამის კოორდინატორისა და თანაკოორდინატორის დამტკიცების შესახებ;
- სამედიცინო სკოლის დებულება

[რეკომენდაციები](#).

o კლინიკურ გარემოში ენობრივი ბარიერების პრობლემის მოსაგვარებლად, რეკომენდებულია სამედიცინო ინგლისურზე ორიენტირებული ენობრივი ტრენინგის მიწოდება როგორც კლინიკური, ისე სასწავლო პერსონალისთვის, რომლებიც ურთიერთობენ საერთაშორისო სტუდენტებთან.

o საექთნო განათლების მრავალფეროვანი და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, რეკომენდებულია მეტი შტატიანი აკადემიური პერსონალის დაქირავება, რომელსაც შეეძლება პროგრამას მეტი დრო დაუთმოს. ეს შეამსუბუქებს იმ თანამშრომლების დატვირთვას, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე როლს ასრულებენ, და გააუმჯობესებს სწავლების, კვლევის მხარდაჭერისა და სტუდენტებთან ურთიერთობის თანმიმდევრულობას. ეს ასევე დაეხმარება სტუდენტი-პერსონალის თანაფარდობის უფრო ეფექტურად მართვაში, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობასა და მენტორობას როგორც აკადემიურ, ისე კლინიკურ გარემოში.

o რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის მხარდაჭერის გაზრდა, რისთვისაც უნდა გამოიყოს დრო და რესურსები კვლევით პროექტებში მონაწილეობისთვის. ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს მათ პროფესიულ განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ინტეგრირებული იყოს მთელი სასწავლო გეგმის განმავლობაში. ეს შესაძლოა მოიცავდეს დატვირთვის კორექტირებას, რათა პერსონალმა შეძლოს სწავლების მოვალეობებისა და კვლევითი საქმიანობის დაბალანსება.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

o შემოთავაზებულია, ხელახლა შეფასდეს იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილება, რომლებიც ასევე იკავებენ პოზიციებს კლინიკებში და რამდენიმე უნივერსიტეტში. მათი მრავალმხრივი პროფესიული ვალდებულებების გათვალისწინებით, ეს შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ხელმისაწვდომობაზე სტუდენტებთან ურთიერთობის, მენტორობისა და მაღალი ხარისხის სწავლების თვალსაზრისით. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალს ჰქონდეს შესაბამისი დრო პროგრამისა და მისი სტუდენტებისთვის დასათმობად, რათა თავიდან

იქნეს აცილებული უარყოფითი ზეგავლენა განათლების ხარისხსა და სტუდენტთა მხარდაჭერაზე.

o შემოთავაზებულია, გაიზარდოს პერსონალის ხელმისაწვდომობა სტუდენტების უშუალო მენტორობისა და მხარდაჭერისთვის. კლინიკური მომზადების, ინდივიდუალური კონსულტაციებისა და პერსონალიზებული აკადემიური ხელმძღვანელობის ხარისხის შესანარჩუნებლად, სასარგებლო იქნება საშტატო რაოდენობის კორექტირება და დამატებითი აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავების განხილვა, რათა სტუდენტებმა მიიღონ წარმატებისთვის საჭირო ყურადღება.

o შემოთავაზებულია, რეგულარულად ჩატარდეს ტრენინგები სწავლების მეთოდებზე აკადემიური პერსონალისთვის, განსაკუთრებით საექთნო პროგრამაში ჩართული პირებისთვის. ვინაიდან სწავლების პრაქტიკა ვითარდება და ჩნდება ახალი სასწავლო ტექნოლოგიები, პერსონალისთვის თანამედროვე პედაგოგიური ტრენინგის მიწოდება გაუმჯობესებს განათლების ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ პერსონალს ჰქონდეს ყველაზე ეფექტური მეთოდები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული შინაარსის მისაწოდებლად.

o შემუშავებული უნდა იყოს მკაფიო ინდიკატორები და რეგულარულად უნდა ხდებოდეს პერსონალის დენადობის, დატვირთვისა და კმაყოფილების მონიტორინგი, რათა ადრეულად გამოვლინდეს პოტენციური რისკები და შენარჩუნდეს პროგრამის გრძელვადიანი სტაბილურობა.

o შემუშავებული უნდა იყოს სტრატეგიული საკადრო გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს მომავალ საჭიროებებს (მაგ., სტუდენტთა ჩარიცხვის ზრდას, კლინიკური მომზადების გაფართოებას), რაც უზრუნველყოფს დროულ დაქირავებას და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაბალანსებულ განაწილებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1. ადამიანური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	/

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველო საქმის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სისტემატური ჩარჩო. კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტი აგროვებს და რეგულარულად ანახლებს მონაცემებს აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების, ასევე ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებში, ძირითადად სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში, წარდგენილი კვლევითი პროექტების შესახებ. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს კვლევითი პროექტების შიდა კონკურსებს, და პერსონალის კვლევისა და განვითარების მხარდასაჭერად გამოყოფს დაფინანსებას.

პერსონალის შეფასების პროცესი აგებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად, რომლის ძირითადი კომპონენტებია ტრენინგები და კვლევის ხელშეწყობა. პერსონალთან რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები ორიენტირებულია გრანტების დაფინანსებასა და კვლევის გავრცელებაზე, პერსონალის ცოდნის გაღრმავებასა და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისებაზე. პროგრამის თანამშრომლები ასევე რეგულარულად მონაწილეობენ Erasmus+ მობილობის პროგრამებსა და საერთაშორისო კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციისა და კვლევითი ჩართულობის მზარდ ტენდენციას.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად არსებობს აღნიშნული სტრუქტურები, პროგრამის ბიოსამედიცინო კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ხარვეზებია, განსაკუთრებით ბიოსამედიცინო კვლევაში პერსონალის ჩართულობისა და კვლევითი ობიექტების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ

უნივერსიტეტი დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომას და უზრუნველყოფს საერთაშორისო პროექტებისა და კონფერენციების დაფინანსებას, არ არსებობს სპეციალური ინფრასტრუქტურა ბიოსამედიცინო კვლევებისთვის, რაც ზღუდავს აკადემიური პერსონალის შესაძლებლობას, ჩაერთონ სფეროს შესაბამის სამეცნიერო კვლევაში.

კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტმა შეიმუშავა კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის კარგად სტრუქტურირებული პროცესი, თუმცა ლაბორატორიული საშუალებებისა და ბიოსამედიცინო კვლევის ინფრასტრუქტურის ნაკლებობა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სფეროში კვლევის შესაძლებლობები არსებობს, კონკრეტულად ბიოსამედიცინო კვლევაზე ყურადღება არ არის გამახვილებული. აღნიშნული კი ზღუდავს პროგრამის შესაძლებლობას, ხელი შეუწყოს კვლევითი უნარების განვითარებას ისეთ კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა ბიომედიცინა, კლინიკური დიაგნოსტიკა და საექთნო მეცნიერებები, რომლებიც საექთნო სასწავლო გეგმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.

ბიოსამედიცინო კვლევა, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საექთნო მეცნიერების წინსვლისთვის, არ არის მხარდაჭერილი ამჟამინდელი ჩარჩოებით. აღნიშნული აქტივობებისთვის კვლევითი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ასევე გავლენას ახდენს პროგრამის შესაძლებლობაზე, ბიოსამედიცინო სფეროებში სამეცნიერო კვლევისა და მონაცემთა შეგროვების მიმართულებით სტუდენტებს მისცეს პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარები, ძირითადად, საერთაშორისო კონფერენციებსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობის გზით ვითარდება, თუმცა ბიოსამედიცინო კვლევითი ობიექტების არარსებობა ნიშნავს, რომ პერსონალი იძულებულია კვლევაში გარედან ჩაერთოს და არა შიდა რესურსებით. აღნიშნული ზღუდავს სამეცნიერო უნარების განვითარებას თავად უნივერსიტეტში და გავლენას ახდენს სტუდენტების შესაძლებლობებზე, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, განსაკუთრებით ბიოსამედიცინო მეცნიერებებზე ორიენტირებულ, კვლევით პროექტებში.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მკაფიო ჩარჩოს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად, მათ შორის აკადემიური პერსონალის რეგულარული შეფასებისა და ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ჩათვლით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის კვლევითი სამუშაოებისა და სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი, კამპუსში სპეციალური ბიოსამედიცინო კვლევის ობიექტების არარსებობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის გარეთ ხორციელდება.

თუმცა, შეფასება გარკვეულ შეზღუდვებსაც ავლენს. კვლევითი საქმიანობა, როგორც იკვეთება, ძირითადად აკადემიურ პერსონალშია კონცენტრირებული, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. გარდა ამისა, ოფიციალურად დანიშნული სამეცნიერო პერსონალის (მაგ., პოსტდოქტორანტი მკვლევრების) და მკაფიოდ სტრუქტურირებული კვლევითი ჩარჩოს არარსებობამ, შესაძლოა

შეზღუდოს პროგრამის გრძელვადიანი კვლევითი შესაძლებლობები და მდგრადობა. გლობალური აკადემიური ინტეგრაციის გასაძლიერებლად, შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დონე.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს ფაკულტეტის წევრების მონაწილეობას ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაში, ფაქტობრივი კვლევითი საქმიანობა ხორციელდება უნივერსიტეტს გარეთ, ხშირად სხვა დაწესებულებებთან, კვლევით ცენტრებთან ან კლინიკებთან პარტნიორობით. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ ბიოსამედიცინო კვლევის საკუთარ დაწესებულებებში მხარდასაჭერად უნივერსიტეტს არ გააჩნია საჭირო ინფრასტრუქტურა. ეს არღვევს კავშირს უნივერსიტეტის კვლევით ინიციატივებსა და საექთნო საქმის პროგრამის სასწავლო გეგმას შორის, რადგან სტუდენტები არ ეცნობიან უნივერსიტეტის შიგნით ჩატარებულ კვლევით პროექტებს ან მეთოდოლოგიებს, განსაკუთრებით ბიოსამედიცინო სფეროში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საექთნო პრაქტიკისა და განათლებისთვის.

ამასთან ერთად, კვლევისთვის გარე ინსტიტუტებზე დამოკიდებულება ამცირებს სტუდენტების შესაძლებლობას, ჩაერთონ ადგილობრივ კვლევით აქტივობებში და ზღუდავს მათ წვდომას უნივერსიტეტის მიერ წარმართულ, პრაქტიკულ ბიოსამედიცინო კვლევით პროექტებზე. საკმარისი ლაბორატორიების, კვლევითი სივრცეებისა და სპეციალური ბიოსამედიცინო აღჭურვილობის გარეშე, როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს არ შეუძლიათ კრიტიკული სამეცნიერო კვლევის ჩატარება თავად უნივერსიტეტში.

ამიტომ, ზოგადი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ყველა სილაბუსი უნდა იყოს „უფრო დეტალურად შემუშავებული“, საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, მათ შორის:

- რომელ კონკრეტულ სილაბუსშია ინფორმაცია არასაკმარისი;
- რომელი სწავლების მეთოდია არასაკმარისად აღწერილი;
- რომელ სწავლის შედეგთან ვერ მყარდება შესაბამისობა;
- როგორ აფერხებს ეს გარემოება შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას.

ანგარიში მსგავს კონკრეტულ მაგალითებს არ შეიცავს. ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია ვერ გახდება ყველა სილაბუსის ან მათი კონკრეტული კომპონენტების დაბალი შეფასების საფუძველი.

გარდა ამისა, ვინაიდან პროგრამას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, ვერ გაკეთდება დასკვნა, რომ სტუდენტები არასაკმარისად არიან ინფორმირებული. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანობა უნდა შეფასდეს პროგრამის ამოქმედების შემდეგ, სტუდენტთა გამოკითხვების, სილაბუსებზე ხელმისაწვდომობისა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება რეკლასიფიცირდეს როგორც გაუმჯობესების მიზნით გაცემული რჩევა ან დაზუსტდეს მხოლოდ იმ კონკრეტულ სილაბუსებთან მიმართებით, რომლებშიც ექსპერტებმა რეალური ნაკლოვანება დაადგინეს.

ექსპერტთა პანელის პასუხი:

პანელი ინარჩუნებს საკუთარ პოზიციას. დეტალურმა განხილვამ დაადასტურა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები (PLOs) არ შეესაბამება ბლუმის ტაქსონომიას. რეკომენდაცია გადაიხედა და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა.

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაცია 3:

„ვინაიდან საექთნო პროგრამა ახალია, რეკომენდებულია მიზნობრივი შეფასებებისა და ადგილზე ვიზიტების განხორციელება მას შემდეგ, რაც პროგრამა სრულად განხორციელდება მინიმუმ ერთი სტუდენტური ნაკადის ფარგლებში. აღნიშნული შეფასებები უნდა კონცენტრირდეს პროგრამის უნიკალურ ასპექტებზე, მათ შორის სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებზე, კლინიკურ პრაქტიკაზე და სწავლის შედეგების შესაბამისობაზე რეალურ პროფესიულ პრაქტიკასთან.“

პასუხი:

ამ რეკომენდაციის შინაარსი თავად ადასტურებს, რომ იგი ეხება მომავალ შეფასებას, რომლის განხორციელებაც პროგრამის მიმდინარე ეტაპზე ობიექტურად შეუძლებელია.

პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები. შესაბამისად:

- არ არსებობს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შედეგები;
- ჯერ არ განხორციელებულა კლინიკური პრაქტიკა;

- შეუძლებელია სტუდენტთა ან კურსდამთავრებულთა მიღწევების შეფასება;
- შეუძლებელია კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პროფესიულ პრაქტიკასთან შესაბამისობის შედეგებზე დაფუძნებული ანალიზი.

უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამის განხორციელება ასევე დაექვემდებარება რეგულარულ შეფასებას, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური პროგრესის, კლინიკური პრაქტიკის ხარისხის, სწავლის შედეგების მიღწევისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დაცვის შეფასებას.

ერთი სტუდენტური ნაკადის დასრულების შემდეგ განხორციელებული მონიტორინგი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ბუნებრივ ელემენტს და არა აკრედიტაციის მომენტისთვის არსებულ ნაკლოვანებას. ექსპერტების მიერ რეკომენდებული აქტივობის განხორციელება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი და, შესაბამისად, იგი ვერ დაასაბუთებს ამ კომპონენტზე „არსებით შესაბამისობას“ მიმდინარე ეტაპზე.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უნდა განიხილებოდეს როგორც სამომავლო მონიტორინგთან დაკავშირებული რჩევა და არა პროგრამის მიმდინარე შესაბამისობის გამოსასწორებელი რეკომენდაცია.

ექსპერტთა პანელის პასუხი:

პანელი ეთანხმება უნივერსიტეტის განმარტებას. რეკომენდაცია გადატანილია „რჩევების“ კატეგორიაში.

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაცია 4

„იმის უზრუნველსაყოფად, რომ ახალი საექთნო პროგრამა მიჰყვებოდეს სწავლის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტების მიღწევის სწორ გზას, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამის პროგრესის რეგულარული მონიტორინგი და დაკვირვება ინტეგრირებული გახადოს ინსტიტუციური შეფასების ფართო სისტემაში.“

პასუხი

უნივერსიტეტში უკვე მოქმედებს პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ინსტიტუციური სისტემა. თვითშეფასების ანგარიში ასევე ითვალისწინებს სემესტრულ მონიტორინგს, შედეგების ანალიზსა და პერიოდულ გადახედვას.

შესაბამისად, რეკომენდაცია ფორმულირებულია ისე, თითქოს პროგრამა უნივერსიტეტის ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებდეს, რაც არც წარმოდგენილი დოკუმენტაციით და არც უნივერსიტეტის დამკვიდრებული პრაქტიკით არ დასტურდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის მონიტორინგი უკვე ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ ჩარჩოში. ამასთან, იგი გაძლიერდება საექთნო განათლებისთვის სპეციფიკური ინდიკატორებით, მათ შორის კლინიკური და პრაქტიკული კომპეტენციების, მენტორული ზედამხედველობის, კლინიკური პრაქტიკის შედეგებისა და კურსდამთავრებულთა პროფესიული მზაობის შეფასებით.

შესაბამისად, რეკომენდაცია უნდა მოიხსნას ან გადაფორმულირდეს როგორც პროგრამის მონიტორინგის სამომავლო განხორციელების შესახებ რჩევა უკვე არსებული ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ეთანხმება უნივერსიტეტის განმარტებას. რეკომენდაცია გადატანილია „უწყვეტი განვითარების მიზნით გაცემული რჩევების“ კატეგორიაში.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

რეკომენდაცია 5

„სტუდენტების კლინიკური პრაქტიკისთვის მზადყოფნის გასაძლიერებლად და ყველა სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია საბაზისო სასწავლო კურსებში პრაქტიკული პრეკლინიკური უნარების სწავლების სათანადო დონის ინტეგრირება. ეს შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკული ლაბორატორიული სესიების, პრაქტიკული აქტივობებისა და სიმულაციების ჩართვას, რათა სტუდენტებმა სწავლის ადრეულ ეტაპზევე შეძლონ თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ გარემოში.“

პასუხი

აღნიშნული რეკომენდაცია სრულად არ ასახავს პროგრამის არსებულ სტრუქტურას.

პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები უკვე პირველი სასწავლო წლიდან ითვალისწინებს:

- პრაქტიკული უნარების განვითარებას;
- სიმულაციაზე დაფუძნებულ აქტივობებს;
- ვირტუალურ სიმულაციებს;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- OSCE-სა და OSPE-ს;
- შემთხვევასა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას;
- პრაქტიკულ და კლინიკურ კომპონენტებს;
- კლინიკური უნარების ცენტრების გამოყენებას.

უნივერსიტეტის ძირითად კამპუსში ფუნქციონირებს ოთხი კლინიკური უნარების ცენტრი, ჰისტოლოგია/პათოლოგიის ლაბორატორია და ანატომიის სასწავლო სივრცეები. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კიდევ ორი კლინიკური უნარების ცენტრის, დამატებითი ანატომიის სასწავლო აუდიტორიისა და ბიოქიმიის, იმუნოლოგიის, ბაქტერიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის BSL-2 კვლევითი ლაბორატორიების განვითარება.

შესაბამისად, პრაქტიკული და პრეკლინიკური სწავლების ინტეგრირების მოთხოვნა უკვე შესრულებულია. ექსპერტებს შეეძლოთ მიეთითებინათ კონკრეტული სასწავლო კურსი ან უნარი, რომლის ფარგლებში პრაქტიკული სწავლება არასაკმარისად მიიჩნიეს, თუმცა ამგვარი კონკრეტული ანალიზის გარეშე ზოგადი რეკომენდაცია ვერ დაადასტურებს შეუსაბამობას.

ექსპერტთა პანელის პასუხი

რეკომენდაცია ძალაში რჩება. უნივერსიტეტის პოზიცია, რომ პრაქტიკული პრეკლინიკური სწავლება სრულად არის ინტეგრირებული, არ შეესაბამება სილაბუსებში წარმოდგენილ ინფორმაციასა და ადგილზე ვიზიტის დროს დაფიქსირებულ გარემოებებს. რამდენიმე სილაბუსი ლექციებთან და სემინარებთან ერთად განსაზღვრავს „ლაბორატორიულ სამუშაოს“, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ამ საბაზისო კურსებისთვის განკუთვნილი სპეციალიზებული ლაბორატორიები ფაქტობრივად არ არსებობდა.

საერთაშორისო აკრედიტაციის ჩარჩოებში (მაგალითად, WFME და ENQA) მკაცრად განასხვავებენ ვიზუალური მასალებით აღჭურვილ საკლასო ოთახს, სასწავლო ლაბორატორიასა და კვლევით ლაბორატორიას. ვიზუალური სადემონსტრაციო საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორია არ წარმოადგენს სასწავლო ან კვლევით ლაბორატორიას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. დაწესებულება ვერ ამტკიცებს, რომ პრაქტიკული, პრეკლინიკური ან კვლევითი კომპეტენციები მიღწეულია მაშინ, როდესაც სტუდენტები მხოლოდ აკვირდებიან სადემონსტრაციო მასალებს და არ ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოებს სრულფასოვან და ფუნქციურ ლაბორატორიულ გარემოში. სამომავლოდ დაგეგმილი ინფრასტრუქტურა ვერ ანაზღაურებს სტუდენტების შემოსვლის მომენტისთვის არსებულ რესურსულ დეფიციტს.

რეკომენდაცია 6

„გაუგებრობების თავიდან აცილებისა და პროგრამის რეალურ განხორციელებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია სასწავლო კურსების აღწერილობებსა და სილაბუსებში გამოყენებული ტერმინოლოგიის დაზუსტება, განსაკუთრებით ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებით.“

პასუხი

ამ რეკომენდაციის საფუძველი, კერძოდ „ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არარსებობა“, არ შეესაბამება უნივერსიტეტში არსებულ რეალურ მდგომარეობას.

უნივერსიტეტს უკვე გააჩნია:

- ოთხი კლინიკური უნარების ცენტრი;
- ჰისტოლოგია/პათოლოგიის ლაბორატორია;
- ანატომიის სასწავლო სივრცეები.

ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის ახალი ლაბორატორიების მოწყობა და ინსტალაცია ჯერ დასრულებული არ იყო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ახალი კვლევითი ლაბორატორიები.

ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი სივრცეების აღჭურვა:

- ორი კლინიკური უნარების ცენტრი;
- ბიოქიმიის ლაბორატორია;
- იმუნოლოგიის ლაბორატორია;

- ბაქტერიოლოგიის ლაბორატორია;
- მოლეკულური ლაბორატორია;
- მიკროსკოპები, ციფრული მიკროსკოპები და რეალური თუ ვირტუალური პრეპარატების სადემონსტრაციო საშუალებები.

პროგრამის დაწყებამდე სრულად ფუნქციური იქნება ყველა საჭირო ლაბორატორიული, სიმულაციური და კვლევითი სივრცე, მათ შორის სტუდენტებისთვის განკუთვნილი დამოუკიდებელი სიმულაციური ოთახი. შესაბამისად, სილაბუსებში გამოყენებული ტერმინი „ლაბორატორიული სამუშაო“ ზუსტად ასახავს როგორც სასწავლო პროცესს, ისე პროგრამის განხორციელებისთვის არსებულ რესურსებს.

1.5. სასწავლო კურსი / საგანი

რეკომენდაცია 7

„სასწავლო კურსების შინაარსი გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს ისე, რომ სრულყოფილად მოიცავდეს ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რომელიც განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად არის საჭირო.“

პასუხი

რეკომენდაცია ზოგადი ხასიათისაა და არ აკონკრეტებს:

- რომელ კურსს ეხება;
- რომელი შინაარსობრივი საკითხი აკლია;
- რომელი სწავლის შედეგი ვერ მიიღწევა;
- რა კონკრეტული ცვლილებებია საჭირო;
- რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით დადგინდა ხარვეზი.

პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები მკაფიოდ განსაზღვრავს კურსის მიზნებს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს, ყოველკვირეულ თემატიკას, სწავლებისა და შეფასების მეთოდებსა და შესაბამის სასწავლო რესურსებს.

კურსების შინაარსი აგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად, წინაპირობების დაცვით, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, კლინიკური მსჯელობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ეტაპობრივ განვითარებას. სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შემთხვევების ანალიზით, წერილობითი და ზეპირი გამოცდებით, OSCE-ით, OSPE-ითა და პრაქტიკული დავალებებით.

პროგრამა წარმოადგენს რეგულირებად 240-ECTS-იან საბაკალავრო პროგრამას, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლისა და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტებმა თავადაც დაახასიათეს პროგრამის სტრუქტურა, როგორც „მტკიცე და გამართული“. შესაბამისად, ეს შეფასება არ შეესაბამება რეკომენდაციას, რომელიც სასწავლო შინაარსის ფართო გადახედვას მოითხოვს.

ექსპერტთა პანელის პასუხი

რეკომენდაცია №7 ძალაში რჩება, როგორც მაკორექტირებელი მოთხოვნა. იგი შეესაბამება წინა რეკომენდაციებს. პანელის მიზანი არ ყოფილა სილაბუსების ხაზობრივად

გადამუშავების მოთხოვნა, არამედ უნივერსიტეტისთვის აკადემიური ავტონომიის დატოვება, რათა მან თავად გადახედოს კურსების შინაარსს, ყოველკვირეული თემატიკა დააკავშიროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისთვის აუცილებელ მე-6 დონის კოგნიტურ მოთხოვნებთან და მკაფიოდ დააკავშიროს თეორიული მოდულები პრაქტიკულ კლინიკურ კომპეტენციებთან. მაგალითები მოცემულია ანალიზის ნაწილში.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

ექსპერტებმა მე-2 სტანდარტი შეაფასეს, როგორც მოთხოვნებთან შეუსაბამო. უნივერსიტეტის აზრით, ეს შეფასება არაპროპორციულია როგორც რეკომენდაციების შინაარსის, ისე იმ ვადების მიმართ, რომლებშიც მათი რეალისტურად განხორციელებაა შესაძლებელი.

გარდა ამისა, რეკომენდაციების უმრავლესობა ეხება:

- არსებული ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- სტუდენტთა სამომავლო კვლევით აქტივობებს;
- ყოველწლიური მონიტორინგის პროცესებს;
- სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლების კიდევ უფრო გაძლიერებას, რომელიც უკვე ინტეგრირებულია პროგრამაში.

ეს საკითხები შეიძლება წარმოადგენდეს სამომავლო განვითარების მიმართულებებს, თუმცა მთლიანად სტანდარტის „შეუსაბამოდ“ შეფასება მოითხოვდა იმის დადასტურებას, რომ პროგრამის განხორციელება არსებული რესურსებისა და სწავლების მეთოდების გამოყენებით შეუძლებელია. ექსპერტთა ანგარიშში მსგავსი დასაბუთება წარმოდგენილი არ არის.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

რეკომენდაცია 8

„გამოიყოს დაფინანსება არსებული აუდიტორიების საექთნო უნარების ლაბორატორიებად გარდასაქმნელად, რომლებიც აღჭურვილი იქნება პროფესიული დონის მანეკენებით, აუცილებელი სამედიცინო მასალებითა და საბაზისო სიმულაციური ტექნოლოგიით. ეს სტუდენტებს პირველი წლიდანვე მისცემს შესაძლებლობას უსაფრთხო და სტრუქტურირებულ გარემოში განივითაროონ საექთნო ძირითადი პროცედურები და შეავსონ უფსკრული თეორიასა და კლინიკურ პრაქტიკას შორის.“

პასუხი

ფაქტობრივად, აღნიშნული რეკომენდაცია უკვე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან უნივერსიტეტს უკვე გააჩნია ოთხი კლინიკური უნარების ცენტრი, რომელთაგან ორის მოწყობაც დასრულების ეტაპზეა და საჭირო აღჭურვილობა უკვე შეძენილია.

უნივერსიტეტი სრულად აღიარებს სიმულაციაზე დაფუძნებული განათლების უწყვეტი განვითარების მნიშვნელობას. თუმცა რეკომენდაციის ფორმულირება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამას აკლდა საექთნო განათლებისთვის აუცილებელი სიმულაციური გარემო და აღჭურვილობა.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა კლინიკური უნარების სასწავლო სივრცეები, ხოლო პროგრამისთვის საჭირო ყველა მანეკენი და სიმულაციური აღჭურვილობა უკვე შეძენილი და ადგილზე ხელმისაწვდომი იყო. აღჭურვილობის ნაწილი უკვე განთავსებული იყო სიმულაციის ოთახებში, ხოლო დანარჩენი ინახებოდა შესაბამის სივრცეებში ინსტალაციის მოლოდინში.

უნივერსიტეტმა ექსპერტთა პანელს წარუდგინა შესყიდვის დოკუმენტაცია და აღჭურვილობის დეტალური ინვენტარიზაცია.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი აღიარებს, რომ ადგილზე წარმოდგენილი იყო ძირითადი მანეკენები, თუმცა იზოლირებული სასწავლო აღჭურვილობის არსებობა ვერ ქმნის სრულფასოვან, ფუნქციურ და მოთხოვნებთან შესაბამის სასწავლო გარემოს. აკრედიტაციის გადაწყვეტილებები ეფუძნება ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურებულ ფუნქციონირებად შესაძლებლობებს და არა შესყიდვის ინვოისებს ან ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმებს.

რეკომენდაცია 9

„შეიქმნას სპეციალიზებული საექთნო და კლინიკური კვლევის სივრცეები, რომლებიც ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას. ეს ლაბორატორიები აღჭურვილი უნდა იყოს მონაცემთა შეგროვების, პაციენტის შეფასების სიმულაციებისა და საბაზისო კლინიკური კვლევებისათვის.“

პასუხი

უნივერსიტეტის აზრით, აღნიშნული რეკომენდაცია აჭარბებს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის.

უნივერსიტეტი სრულად აღიარებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკისა და სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მნიშვნელობას.

მე-6 დონის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ:

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის გამოყენება;
- მონაცემების მოძიება და ანალიზი;
- კვლევის ძირითადი პრინციპების გაგება;
- პროფესიული მსჯელობისა და დისკუსიის წარმოება მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტს უკვე დაწყებული ჰქონდა ბიოსამედიცინო კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი აკრედიტაციის ვიზიტამდე.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას იმის შესახებ, რომ საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის მთავარი მიზანი მაღალი დონის კვლევითი აქტივობები არ არის. თუმცა, ამ კომპეტენციების ეფექტიანი განვითარება მოითხოვს სპეციალურ პრაქტიკულ სივრცეებს და არა მხოლოდ აუდიტორიებს, რომლებიც აღჭურვილია ვიზუალური სასწავლო საშუალებებით, როგორიცაა ჰისტოლოგიური პრეპარატები, ანატომიური მოდელები ან ციფრული ეკრანები. მიუხედავად იმისა, რომ ეს რესურსები სასარგებლოა სწავლებისთვის, საერთაშორისო სტანდარტები მათ არ მიიჩნევს სრულფასოვან ლაბორატორიულ გარემოდ.

რეკომენდაცია 10

„სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება და კვლევითი აქტივობები ინტეგრირებული უნდა იყოს საექთნო საქმიანობის ძირითად კომპეტენციებში, მათ შორის გუნდურ მუშაობაში, ლიდერობაში, კომუნიკაციასა და ეთიკურ გადაწყვეტილებების მიღებაში.“

პასუხი

აღნიშნული რეკომენდაცია აერთიანებს რამდენიმე განსხვავებულ საკითხს:

- სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლებას;
- გუნდურ მუშაობასა და კომუნიკაციას;
- კვლევით აქტივობებს;
- კონფერენციებში მონაწილეობას;
- პოსტერების წარდგენას;
- წლიურ მონიტორინგს.

სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, ლიდერობა და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება უკვე ინტეგრირებულია პროგრამაში.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია.

2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

რეკომენდაცია 11

„სტუდენტებისთვის არსებითი ტექნიკური უნარებისა და ძირითადი სწავლის შედეგების ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია საბაზისო კურსებში პრეკლინიკური პრაქტიკული ლაბორატორიული სწავლების უკეთესი ინტეგრირება.“

პასუხი

აღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვნად იმეორებს:

- 1.4 ქვეკომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებს პრეკლინიკური უნარების ინტეგრირებასთან დაკავშირებით;
- 2.2 ქვეკომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებს საექთნო უნარების ლაბორატორიებთან დაკავშირებით;
- 4.4 ქვეკომპონენტში მოცემულ რეკომენდაციებს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან დაკავშირებით.

ერთი და იმავე საკითხის რამდენიმე დამოუკიდებელ რეკომენდაციად წარმოდგენა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პროგრამას მრავალი ცალკეული ნაკლოვანება აქვს, მაშინ როდესაც რეალურად ყველა რეკომენდაცია ერთ საერთო საკითხს – ლაბორატორიული რესურსების მასშტაბს – უკავშირდება.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი იზიარებს უნივერსიტეტის მოსაზრებას მიგნებების შინაარსობრივ გადაკვეთასთან დაკავშირებით. თუმცა, უმაღლესი განათლების აკრედიტაციაში ისეთი ფუნდამენტური რესურსული დეფიციტი, როგორიცაა ფუნქციური სამეცნიერო და პრეკლინიკური ლაბორატორიების არარსებობა, ბუნებრივად აისახება რამდენიმე განსხვავებულ სტანდარტზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მიუთითებს სამომავლო ინფრასტრუქტურასა და კლინიკური უნარების ცენტრებზე, აკრედიტაციის სტანდარტები აფასებს მიმდინარე ოპერაციულ რეალობას.

2.4. სტუდენტთა შეფასება

რეკომენდაცია 12

„კავკასიის უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს და ფორმალურად დააფიქსიროს სწავლის შედეგების მკაფიო შესაბამისობა შეფასების კონკრეტულ კომპონენტებთან და პასუხისმგებელ შემფასებლებთან გაერთიანებული მოდულების ფარგლებში.“

პასუხი

პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების მკაფიო მექანიზმი, როგორც დოკუმენტირებული სახით, ასევე უნივერსიტეტის სპეციალიზებული პროგრამული სისტემის ფარგლებში. შესაბამისი დოკუმენტაცია შეტანილი იყო აკრედიტაციის პაკეტში, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფა დემონსტრირებული და განმარტებული იყო ადგილზე ვიზიტის დროს.

შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის ამ რეკომენდაციის მიზანი გაუგებარია. გარდა ამისა, ვინაიდან პროგრამას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება შეფასების პროცესის პრაქტიკულ განხორციელებაში შეუსაბამობის ან ხარვეზის შესახებ.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია. რეკომენდაცია ამოღებულია

სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. სტუდენტთა კონსულტირება და მხარდაჭერის სერვისები

რეკომენდაცია 13

„კავკასიის უნივერსიტეტს ეძლევა რეკომენდაცია, კიდევ უფრო დააფორმალიზოს და მკაფიოდ წარმოაჩინოს სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა და ფუნქციონირება, რაც უზრუნველყოფს როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტების ინკლუზიურ წარმომადგენლობას.“

პასუხი

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, შესაბამისად, ამ ეტაპზე შეუძლებელია უშუალოდ ამ პროგრამისთვის ცალკე სტუდენტური წარმომადგენლობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ამასთანავე, უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც სტუდენტური კლუბების მეშვეობით მოქმედებს. მისი ფუნქციონირება არ იწყება ყოველი ახალი პროგრამის შექმნის შემდეგ. პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ, საექთნო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის საერთო სტუდენტური მმართველობის სისტემაში.

ექსპერტთა ანგარიშში დაკონკრეტებული არ არის, არსებული სტუდენტური თვითმმართველობის რომელი სამართლებრივი ან ორგანიზაციული ელემენტია არასაკმარისად ფორმალიზებული. ასევე წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება იმისა, რომ საერთაშორისო სტუდენტების წარმომადგენლობა რაიმე ფორმით არის შეზღუდული.

უნივერსიტეტი ხაზს უსვამს, რომ ყველა სტუდენტს, როგორც ადგილობრივს, ისე საერთაშორისო სტუდენტს, აქვს თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, გაწევრიანდეს დამოუკიდებელ სტუდენტურ კლუბებში და ჩაერთოს არასასწავლო აქტივობებში.

გარდა ამისა, აღნიშნული რეკომენდაცია პირდაპირ არ უკავშირდება არც აკრედიტაციის სტანდარტებს და არც საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის რომელიმე კონკრეტულ ნაკლოვანებას. შესაბამისად, ის უფრო ინსტიტუციურ დონეზე სტუდენტური ჩართულობის შემდგომი გაძლიერების ზოგად რეკომენდაციად შეიძლება ჩაითვალოს.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია.

სტანდარტი 4 - სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა

4.1. ადამიანური რესურსები

რეკომენდაცია 14

„რეკომენდებულია გადაიხედოს იმ აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის განაწილება, რომლებიც ერთდროულად მუშაობენ კლინიკებსა და რამდენიმე უნივერსიტეტში. მათი მრავალრიცხოვანი პროფესიული ვალდებულებები შესაძლოა

გავლენას ახდენდეს სტუდენტებთან ხელმისაწვდომობაზე, მენტორობასა და სწავლების ხარისხზე.“

პასუხი

აკადემიური ან კლინიკური პერსონალის დასაქმება სხვა ორგანიზაციებში თავისთავად არ ადასტურებს ზედმეტ სამუშაო დატვირთვას ან პროგრამის განხორციელებისთვის არასაკმარის ხელმისაწვდომობას.

ასეთი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა კონკრეტულად განსაზღვრულიყო:

- რომელი პირის დატვირთვა ითვლება შეუსაბამოდ;
- რომელი საგანმანათლებლო საქმიანობის სათანადო განხორციელება ვერ ხერხდება;
- როგორ აისახება ეს გარემოება სტუდენტთა მხარდაჭერასა და განათლების ხარისხზე.

დასკვნა ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს, რომ მრავალ პროფესიულ ვალდებულებას „შესაძლოა“ გავლენა ჰქონდეს ხელმისაწვდომობაზე. თუმცა, ჰიპოთეზური შესაძლებლობა არ წარმოადგენს არსებული შეუსაბამობის მტკიცებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროგრამა ჯერ არ დაწყებულა.

პროგრამაში ჩართული პერსონალი ამჟამად შესაძლოა დასაქმებული იყოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, თუმცა პროგრამის დაწყების შემდეგ მათ დაადასტურეს მზადყოფნა, გამოყონ საჭირო დრო და ჩართულობა პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას, რომ აქტიური კლინიკური პრაქტიკა საექთნო განათლებაში მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას ქმნის. ასევე აღიარებს, რომ სტუდენტთა მიღებამდე პერსონალის ხელმისაწვდომობის ან მენტორობასთან დაკავშირებული ხარვეზების შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია. თუმცა, ადგილზე ვიზიტისას პანელმა დაადგინა, რომ რამდენიმე აკადემიური თანამშრომელი პარალელურად მუშაობდა მრავალ დაწესებულებასა და კლინიკურ ბაზაზე, რაც პროგრამის ამოქმედების შემდეგ სტუდენტებთან კომუნიკაციის, უკუკავშირის დროულობისა და პროგრამის განვითარების რისკს ქმნის. შესაბამისად, რეკომენდაცია №14 გადაიტანეს უწყვეტი განვითარების რეკომენდაციის (Suggestion) კატეგორიაში.

რეკომენდაცია 15

„რეკომენდებულია გაიზარდოს პერსონალის ხელმისაწვდომობა სტუდენტთა პირდაპირი მენტორობისა და მხარდაჭერისთვის.“

პასუხი

პროგრამას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, შესაბამისად არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ:

- სტუდენტები ვერ იღებენ სათანადო აკადემიურ კონსულტაციას;
- პერსონალის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია;
- მენტორული სისტემა ეფექტიანად ვერ ფუნქციონირებს;
- პერსონალის რაოდენობა შეუსაბამოა სტუდენტთა რეალურ რაოდენობასთან.

ადამიანური რესურსების ადეკვატურობა უნდა შეფასდეს სტუდენტთა დაგეგმილი რაოდენობის, ჯგუფების ზომის, პრაქტიკული სწავლების ფორმატებისა და საკონტაქტო საათების მიხედვით. ექსპერტთა ანგარიშში პერსონალის რაოდენობრივი დეფიციტი არ არის იდენტიფიცირებული.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ნაადრევია და მისი განხილვა უფრო მიზანშეწონილია პროგრამის დაწყების შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში.

ექსპერტთა პანელის პასუხი
მიღებულია.

რეკომენდაცია 16
„კლინიკურ გარემოში ენობრივი ბარიერების აღმოსაფხვრელად რეკომენდებულია როგორც კლინიკური, ისე აკადემიური პერსონალისთვის სამედიცინო ინგლისურის მიმართულებით ტრენინგების ჩატარება.“

პასუხი
ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართული პერსონალი შერჩეულია მათი ინგლისურ ენაზე სწავლების უნარისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით. კლინიკური და აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენცია წარმოადგენს პროგრამის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას და უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს.

ექსპერტთა ანგარიში არ ასახელებს კონკრეტულ პრობლემას ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით და არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც მაკორექტირებელ მოქმედებას მოითხოვდა.

ექსპერტთა პანელის პასუხი
პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას. ვინაიდან პროგრამა სრულად ხორციელდება ინგლისურ ენაზე, აკადემიური და კლინიკური პერსონალის ენობრივი კომპეტენცია გადამწყვეტია როგორც განათლების ხარისხისთვის, ისე სტუდენტთა უსაფრთხოებისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს რამდენიმე აკადემიურმა თანამშრომელმა და კლინიკურმა ხელმძღვანელმა ვერ შეძლო ინგლისურ ენაზე თავისუფალი კომუნიკაცია და ინტერვიუები ქართულ ენაზე წარიმართა. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამედიცინო ინგლისურის სტრუქტურირებული ტრენინგები და დაადასტუროს აკადემიური და კლინიკური პერსონალის ფუნქციური ენობრივი მზაობა.

რეკომენდაცია 17

„რეკომენდებულია აკადემიური პერსონალისთვის, განსაკუთრებით საექთნო პროგრამაში ჩართული თანამშრომლებისთვის, სწავლების მეთოდების შესახებ რეგულარული ტრენინგების ორგანიზება.“

პასუხი

პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია და სასურველია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, თუმცა ამგვარი რეკომენდაცია კონკრეტულ გამოვლენილ ნაკლოვანებას უნდა ეფუძნებოდეს.

ექსპერტთა ანგარიში თავად ასახელებს პროგრამის ძლიერ მხარედ სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის OSCE/OSPE-ს, შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას და მცირე ჯგუფებში პრაქტიკულ სწავლებას, რაც ადასტურებს აკადემიური პერსონალის გამოცდილებას თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებში.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია. რეკომენდაცია გადატანილია „რჩევების“ კატეგორიაში.

რეკომენდაცია 18

„საექთნო განათლების მრავალმხრივი და კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე რეკომენდებულია მეტი სრულგანაკვეთიანი აკადემიური პერსონალის დასაქმება.“

პასუხი

რეკომენდაცია არ წარმოადგენს რაოდენობრივ ანალიზს იმის შესახებ:

- რამდენი დამატებითი სრულგანაკვეთიანი თანამშრომელია საჭირო;
- რა შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს უნივერსიტეტი სტუდენტისა და პერსონალის თანაფარდობის მოთხოვნებს;
- რომელ კურსებში არსებობს კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი;
- რომელი ფუნქციები რჩება შეუსრულებელი.

ახალი პროგრამის პირობებში ადამიანური რესურსების შესაძლებლობები უნდა შეფასდეს დაგეგმილი სტუდენტური ნაკადის და პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების შესაბამისად.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას. ადგილზე ვიზიტის დროს განხილული იყო საქართველოში საექთნო სფეროში კვალიფიციური კადრების დეფიციტის საკითხი, რაც ზღუდავს მთლიანად პროგრამისთვის სრულად მიძღვნილი აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, უნივერსიტეტში ბირთვული სრულგანაკვეთიანი საექთნო აკადემიური გუნდის არსებობა მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია 19

„რეკომენდებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის ჩართულობის მხარდაჭერა კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში შესაბამისი დროისა და რესურსების გამოყოფის გზით.“

პასუხი

უნივერსიტეტისთვის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა მნიშვნელოვანია. თუმცა კონკრეტული საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს, უზრუნველყოფს თუ არა პერსონალის აკადემიური და პროფესიული გამოცდილება:

- სასწავლო კურსების ეფექტიან განხორციელებას;
- სტუდენტებისთვის თანამედროვე ცოდნის მიწოდებას;
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას. აკადემიური პერსონალი უნდა ფლობდეს დოკუმენტურად დადასტურებულ სამეცნიერო კომპეტენციებსა და აქტიურ კვლევით პროფილს, რაც ასახული უნდა იყოს მათ CV-ებში. აღნიშნული მოთხოვნა კიდევ უფრო აქტუალური ხდება უნივერსიტეტში სრულფასოვანი სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა და კვლევითი ლაბორატორიების არარსებობის ფონზე.

რეკომენდაცია 20

„განხორციელდეს პერსონალის გადინების, სამუშაო დატვირთვისა და კმაყოფილების რეგულარული მონიტორინგი მკაფიო ინდიკატორების გამოყენებით.“

პასუხი

აღნიშნული რეკომენდაცია ეხება გრძელვადიან ინსტიტუციურ მონიტორინგს და არა ადამიანური რესურსების ამჟამინდელ ადეკვატურობას. უნივერსიტეტს უკვე აქვს პერსონალის კმაყოფილების, დატვირთვისა და კადრთა ცვლის მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც გავრცელდება საექთნო პროგრამაზეც.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია და გადატანილია რჩევების კატეგორიაში.

რეკომენდაცია 21

„შემუშავდეს პერსონალის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს სამომავლო საჭიროებებს.“

პასუხი

რეკომენდაცია ეხება მომავალი განვითარების საჭიროებებს და არა პროგრამის საწყის ეტაპზე არსებულ პრობლემას. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის

მექანიზმები ისედაც ვრცელდება ახალ პროგრამაზე და უზრუნველყოფს დამატებითი საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია და გადატანილია რჩევების კატეგორიაში.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

რეკომენდაცია 22

„იმის უზრუნველსაყოფად, რომ აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა შეძლოს საექთნო განათლებისა და კვლევის სფეროში წარმოქმნილი ახალი ტენდენციების გათვალისწინება, რეკომენდებულია რეგულარული ტრენინგების შეთავაზება კვლევის მეთოდოლოგიაში, დაფინანსების შესაძლებლობებსა და აკადემიურ წერაში.“

პასუხი

ამგვარი ტრენინგები პროფესიული განვითარების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს, თუმცა მათი სიხშირის გაზრდა თავისთავად არ ნიშნავს, რომ არსებული პროფესიული განვითარების სისტემა არასაკმარისია.

აღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვნად ემთხვევა 4.1 კომპონენტში წარმოდგენილ რეკომენდაციას, რომელიც აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მხარდაჭერას ეხება. ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა კომპონენტში დამოუკიდებელ რეკომენდაციებად წარმოდგენა ხელოვნურად ზრდის რეკომენდაციების რაოდენობას.

უნივერსიტეტს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზების, საგრანტო განაცხადების მხარდაჭერის, კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებისა და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა საექთნო პროგრამის პერსონალზეც გავრცელდება პროგრამის დაწყებისთანავე.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია უნდა ჩაითვალოს შემდგომი განვითარების მიმართულებად და არა არსებული ხარვეზის მტკიცებულებად.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია და გადატანილია რჩევების კატეგორიაში.

რეკომენდაცია 23

„ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების განვითარების მხარდასაჭერად რეკომენდებულია მენტორობის პროგრამის დანერგვა, რომელიც ნაკლებად გამოცდილ თანამშრომლებს გამოცდილ პროფესორებთან ან გარე ექსპერტებთან დააკავშირებს.“

პასუხი

ფორმალური მენტორობის პროგრამა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი შესაძლო მექანიზმია, თუმცა იგი ერთადერთი მიდგომა არ არის.

ექსპერტთა ანგარიშში არ იდენტიფიცირდება ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის სწავლების ხარისხთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემა, რომელიც აღნიშნულ რეკომენდაციას ან მაკორექტირებელ ღონისძიებებს გაამართლებდა.

უნივერსიტეტში არსებული აკადემიური კულტურა უკვე ითვალისწინებს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის, ასისტენტებისა და მოწვეული ლექტორების პროფესიულ მხარდაჭერას გამოცდილი პროფესორებისა და კურსების კოორდინატორების მხრიდან. ერთი და იმავე კურსის ფარგლებში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლების მეთოდების შერჩევის, შეფასების სისტემების შემუშავებისა და სტუდენტური მხარდაჭერის საკითხებზე.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია და გადატანილია რჩევების კატეგორიაში.

რეკომენდაცია 24

„რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მხარდაჭერა საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიმართულებით.“

პასუხი

აღნიშნული რეკომენდაცია ასახავს კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის შემდგომი განვითარების სურვილს.

საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გაფართოება და გაძლიერება სასარგებლოა, თუმცა არ შეიძლება გახდეს საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის განმსაზღვრელი ფაქტორი, თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო კომპეტენციები სათანადოა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევის განვითარების ინსტიტუციური პოლიტიკა და შესაბამისი სტრატეგიული მექანიზმები.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური პოლიტიკა შეიძლება არსებობდეს, საერთაშორისო კვლევით საქმიანობასა და კონფერენციებში მონაწილეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს იმისთვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეინარჩუნოს თანამედროვე და საერთაშორისო დონეზე რეცენზირებული ცოდნა საექთნო და ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში. განსაკუთრებით არსებითია ეს იმ პირობებში, როდესაც უნივერსიტეტში სრულფასოვანი კვლევითი ინფრასტრუქტურა ჯერ არ ფუნქციონირებს.

4.4. მატერიალური რესურსები

რეკომენდაცია 25

„აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების გასაძლიერებლად რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ინვესტიცია განახორციელოს სპეციალიზებულ ბიოსამედიცინო კვლევით ლაბორატორიებში.“

პასუხი

უნივერსიტეტს უკვე გააჩნია ანატომიის/ჰისტოლოგიის/პათოლოგიის სასწავლო ლაბორატორია, ხოლო ბიოქიმიის, იმუნოლოგიის, ბაქტერიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის კვლევითი ლაბორატორიები გახსნის საბოლოო ეტაპზეა და სრულად მზად იქნება საექთნო პროგრამის დაწყებამდე.

შესაბამისად, მოთხოვნა ასეთი ინფრასტრუქტურის „შექმნის“ შესახებ სრულად არ ასახავს არსებულ მდგომარეობას.

უნივერსიტეტმა უკვე შეიძინა ბიოსამედიცინო კვლევითი ლაბორატორიებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა, მათ შორის ბიოუსაფრთხოების კაბინეტები, PCR კაბინეტები, ლაბორატორიული მაცივრები, შეიკერები და ინკუბატორები. მოგვიანებით ასევე შეძენილ იქნა Carl Zeiss-ის 50 მიკროსკოპი.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას. სამომავლო შესყიდვების კონტრაქტები, დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა და მიმდინარე მოწყობის პროცესები ვერ აკმაყოფილებს ფუნქციური ბიოსამედიცინო კვლევითი ლაბორატორიების მოთხოვნებს. აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შესაბამისობა ფასდება მხოლოდ ადგილზე ვიზიტისას დადასტურებული, სრულად მოქმედი ინფრასტრუქტურით.

რეკომენდაცია 26

„მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს უკვე აქვს გარკვეული კლინიკური უნარების ლაბორატორიები და სამედიცინო აღჭურვილობა, რეკომენდებულია არსებული ლაბორატორიული რესურსების განახლება და გაფართოება.“

პასუხი

რეკომენდაციის ფორმულირება თავად ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს უკვე აქვს კლინიკური უნარების ცენტრები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა. შესაბამისად, საკითხი არ ეხება აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობას, არამედ არსებული რესურსების შემდგომ განვითარებას.

ადგილზე ვიზიტისას უნივერსიტეტმა წარმოადგინა დამატებითი აღჭურვილობისა და სიმულატორების შესყიდვის ინვოისები, რაც ადასტურებს ფინანსური რესურსების არსებობასა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმდინარე პროცესს.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას.

რეკომენდაცია 27

„აუცილებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სასწავლო კურსების სილაბუსები შეიცავდეს უახლეს სასწავლო რესურსებს, მათ შორის თანამედროვე სახელმძღვანელოებს, ჟურნალებსა და სხვა წყაროებს.“

პასუხი

საგანმანათლებლო რესურსების განახლება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა და პრიორიტეტია. ექსპერტთა ანგარიშის შეჯამებით ნაწილშიც აღნიშნულია, რომ პროგრამას გააჩნია განახლებული რესურსები და ფართო წვდომა ციფრულ ბაზებზე.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის უმრავლესობა გამოცემულია 2021-2024 წლებში და შეესაბამება საექთნო და ბიოსამედიცინო მეცნიერებების თანამედროვე მოთხოვნებს.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას.

რეკომენდაცია 28

„სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება საექთნო პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია და რეკომენდებულია სიმულაციურ ტექნოლოგიებში ინვესტიციის გაზრდა.“

პასუხი

უნივერსიტეტი აღიარებს სიმულაციური ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელობას, თუმცა არ ეთანხმება იმ ვარაუდს, რომ არსებული რესურსები არასაკმარისია. უნივერსიტეტს უკვე შეძენილი აქვს საექთნო და კლინიკური უნარების სწავლებისთვის საჭირო მანეკენები, მოდელები და პროცედურული სიმულატორები.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია და გადატანილია რჩევების კატეგორიაში.

რეკომენდაცია 29

„იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ ყველაზე აქტუალური და თანამედროვე კლინიკური მომზადება, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს კომუნიკაცია და კოორდინაცია კლინიკური პრაქტიკის ბაზებთან.“

პასუხი

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები კლინიკურ პარტნიორებთან, ხოლო კლინიკური კომპონენტი ექსპერტების მიერ პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ არის შეფასებული.

პროგრამას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, შესაბამისად არ ჩატარებულა კლინიკური პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კოორდინაციის ან მენტორთა ინფორმირებულობის პრობლემების გამოვლენა.

უნივერსიტეტი ადასტურებს, რომ კლინიკური პრაქტიკის დაწყებამდე ჩატარდება სპეციალური შეხვედრები კლინიკურ მენტორებთან, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმების გასაცნობად.

ექსპერტთა პანელის პასუხი

პანელი ინარჩუნებს რეკომენდაციას. ადგილზე ვიზიტისას რამდენიმე კლინიკურმა მენტორმა ვერ გამოავლინა სათანადო ცოდნა პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ ოფიციალური შეთანხმებები ჯერ სრულად არ არის გარდაქმნილი ფუნქციურ თანამშრომლობად. შესაბამისად, პროგრამის დაწყებამდე უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ყველა პარტნიორ კლინიკურ ბაზასთან მკაფიო კომუნიკაციისა და კოორდინაციის მექანიზმები.

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

რეკომენდაცია 30

„რეკომენდებულია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს შექმნა, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული როგორც კომუნიკაციის, ისე პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში.“

პასუხი

აღნიშნული რეკომენდაცია შინაარსობრივად იმეორებს 3.1 კომპონენტში წარმოდგენილ რეკომენდაციას სტუდენტური თვითმმართველობის ფორმალიზების შესახებ.

უნივერსიტეტში უკვე არსებობს სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბების მეშვეობით. ცალკე სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს შექმნა სპეციალურად საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამისთვის არ არის გათვალისწინებული. ზოგადად, სტუდენტურ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით არ რეგულირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბების საქმიანობაში, ასევე პროგრამის შეფასების პროცესებში კვლევების, ფოკუს-ჯგუფების, წარმომადგენლობითი სტრუქტურებისა და ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების მეშვეობით.

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია არ წარმოადგენს საკითხს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება 5.1 კომპონენტის კრიტერიუმებს.

ექსპერტთა პანელის პასუხი

მიღებულია და გადატანილია რეკომენდაციიდან რჩევის (Suggestion) კატეგორიაში.

დასკვნა

უნივერსიტეტის დასკვნითი პოზიცია

უნივერსიტეტს სურს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

- უნივერსიტეტი არ ეთანხმება ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების რაოდენობას და მათ საფუძველზე განსაზღვრული შეფასებების პროპორციულობას. რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შინაარსობრივად მეორდება სხვადასხვა კომპონენტში; ზოგიერთი მათგანი ეხება მონიტორინგს, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის სრულად განხორციელებისა და მინიმუმ ერთი სტუდენტური ნაკადის დასრულების შემდეგ, ხოლო ნაწილი წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარების სასურველ მიმართულებებს და არა აკრედიტაციის მომენტისთვის გამოვლენილ შეუსაბამობებს.
- განსაკუთრებით, უნივერსიტეტი არ ეთანხმება მე-2 სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შეფასებას. უნივერსიტეტს უკვე გააჩნია პროგრამის პრაქტიკული და პრეკლინიკური კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელი კლინიკური უნარების ცენტრები, ჰისტოლოგია/პათოლოგიის სასწავლო ლაბორატორია, ანატომიის სასწავლო სივრცეები და ბიოქიმიის სასწავლო ლაბორატორია. დამატებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე დასრულდება ახალი კლინიკური უნარების ცენტრები და ბიოქიმიის, იმუნოლოგიის, ბაქტერიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის კვლევითი ლაბორატორიები.
- ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა არსებული სასწავლო სივრცეები. ამასთან, უნივერსიტეტმა წარადგინა დამატებითი მანეკენების, სიმულატორებისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის ინვოისები, რაც ადასტურებს როგორც ადეკვატური ფინანსური რესურსების არსებობას, ისე ინფრასტრუქტურის განვითარების მიმდინარე პროცესს.
- შესყიდული აღჭურვილობის შესაბამისი ინვოისები და დამადასტურებელი დოკუმენტები შეტანილი იყო აკრედიტაციის პაკეტში. აღნიშნული დოკუმენტები კვლავ ერთვის დანართების სახით, მათ შორის ივნისში შეძენილი მიკროსკოპების ინვოისი.
- პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები. შესაბამისად, სტუდენტთა მიღწევებთან, კლინიკური პრაქტიკის შედეგებთან, პირველი სტუდენტური ნაკადის დასრულების შემდეგ შეფასებასთან, პროგრამის დონეზე სტუდენტური წარმომადგენლობის ფუნქციონირებასთან, კადრთა ცვლის ტენდენციებთან ან სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული მომავალი საჭიროებების შესახებ რეკომენდაციები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიმდინარე მდგომარეობის უარყოფითად შეფასების საფუძვლად.
- უნივერსიტეტის აზრით, ანგარიშში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული პროგრამის დონე და დისციპლინური სპეციფიკა. საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს მე-6 დონის საკვალიფიკაციო პროგრამას. იგი სტუდენტებს აცნობს კვლევის მეთოდებს და უვითარებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის, პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის კომპეტენციებს. ამასთან, სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი კლინიკური კვლევების განხორციელება, სამეცნიერო შედეგების სისტემატური გავრცელება პოსტერებისა და კონფერენციების გზით, ან სპეციალიზებული ბიოსამედიცინო კვლევითი ინფრასტრუქტურის არსებობა არ უნდა ჩაითვალოს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის სავალდებულო წინაპირობად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი პატივისცემით მიმართავს ექსპერტებს, გადახედონ რეკომენდაციებს, გააერთიანონ განმეორებადი რეკომენდაციები, სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები გადაიტანონ

რეკომენდაციებიდან განვითარების რჩევების კატეგორიაში და, განსაკუთრებით, ხელახლა განიხილონ მე-2 სტანდარტის შეფასება, რადგან წარმოდგენილი ფაქტობრივი მტკიცებულებები არ ადასტურებს პროგრამის არსებით შეუსაბამობას სწავლების მეთოდოლოგიისა და ორგანიზების მოთხოვნებთან.

ექსპერტთა პანელის საბოლოო პასუხი

ექსპერტთა პანელი აღიარებს უნივერსიტეტის დასკვნით პოზიციას და აფასებს მის აქტიურ ჩართულობას აკრედიტაციის პროცესში. ამასთან, პანელი ხაზს უსვამს, რომ შეფასება განხორციელდა მკაცრად საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) სამართლებრივი ჩარჩოსა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის პრინციპების შესაბამისად.

ვინაიდან საექთნო საქმე რეგულირებადი ჯანდაცვის პროფესიაა, გარე აკრედიტაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებელ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა პანელი ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების მეშვეობით დამოუკიდებლად ამოწმებს თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას. თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია თავდაპირველად მიიჩნევა სარწმუნოდ, თუმცა ადგილზე ვიზიტის მიზანია ოპერაციული მზაობის ფაქტობრივი გადამოწმება და შესაძლო ხარვეზების გამოვლენა. შესაბამისად, როდესაც უშუალო დაკვირვება ეწინააღმდეგება წერილობით წარმოდგენილ განცხადებებს, მაგალითად, როდესაც პროგრამაში ჩართულ ძირითად თანამშრომლებს არ შეუძლიათ სწავლების ენაზე კომუნიკაცია ან „ლაბორატორიებად“ წარმოდგენილი სივრცეები რეალურად წარმოადგენენ ვიზუალური მასალებით აღჭურვილ აუდიტორიებს და არა ფუნქციურ ლაბორატორიებს, პანელი სამართლებრივად და ეთიკურად ვალდებულია შეფასება დაეყრდნოს რეალურად დაკვირვებულ გარემოებებს და არა სამომავლო დაპირებებს ან დაუმონტაჟებელი აღჭურვილობის ინვოისებს.

პანელი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სტანდარტები მკაფიოდ განასხვავებს სასწავლო აუდიტორიას, რომელიც მხოლოდ ვიზუალური სადემონსტრაციო საშუალებებით არის აღჭურვილი, ფუნქციური სასწავლო ლაბორატორიისგან, სადაც სტუდენტები დამოუკიდებლად ასრულებენ პრაქტიკულ პროცედურებს, ან სერტიფიცირებული ბიოსამედიცინო კვლევითი ლაბორატორიისგან, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ინფრასტრუქტურით.

ექსპერტთა პანელი მუშაობდა სრული ობიექტურობით, გააერთიანა განმეორებადი მიგნებები იქ, სადაც ეს შესაძლებელი იყო, და პროგრამის დაწყების შემდგომ მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხები განვითარების მიზნით გაცემულ რჩევებად გადააკვალიფიცირა.

პანელის ყველა მიგნება, იქნება ეს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაცემული რეკომენდაცია თუ განვითარებისკენ მიმართული რჩევა, ჩამოყალიბდა კეთილსინდისიერი აკადემიური მხარდაჭერის სულისკვეთებით. გარე აკრედიტაციის მიზანი მხოლოდ კონტროლი არ არის; მისი მიზანია ინსტიტუციური კეთილსინდისიერების დაცვა და უნივერსიტეტის მხარდაჭერა ისეთი მაღალი ხარისხის,

საერთაშორისო კონკურენტუნარიანი საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის შექმნაში, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს პროფესიულ და აკადემიურ მოთხოვნებს.

აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, პანელი ვარაუდობს, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულდება დადგენილ ვადებში, რაც უნივერსიტეტს მისცემს მკაფიო და სტრუქტურირებულ გზამკვლევს იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად პროგრამის განხორციელების დაწყებამდე და მის საწყის ეტაპზე.

პანელი იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტი ამ საბოლოო დასკვნებს მიიღებს იმ კონსტრუქციული სულისკვეთებით, რომლითაც ისინი იქნა შემუშავებული, როგორც აუცილებელი ხარისხობრივი მექანიზმები პროგრამის წარმატების, მომავალი პაციენტების უსაფრთხოებისა და კურსდამთავრებულთა აკადემიური სრულყოფილების უზრუნველსაყოფად.